# შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№34 (9.843)

8 – 15 სექტემბერი 2018 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


## „მარიხუანას სულ მცირე ის აკრძალვები უნდა შეეხოს, რაც თამბაქოს ეხება“ – აკაკი ზოიძე

გვ.2

## სათამაშო, რომელიც ჯანმრთელობას ვნებს...

სათამაშოების ბაზარი ისევ უკონტროლოა. თუმცა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების თანახმად, სათამაშოების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობა ევროპისას უნდა დაუახლოვდეს.

გვ.6

აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველი ჯერ კიდევ გასული წლის მარტში აცხადებდა, რომ საქართველოს ბაზარზე არსებული სათამაშოები არასრულწლოვანთა ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის. ამასთან, ***„სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ მიერ ჩატარებული კვლევით გაირკვა, რომ საქართველოში შეძენილი 10 სათამაშოდან 9-ში მავნე ნივთიერებაა.***



გვ.2

## „ქალთა ოთახში“ პირველი საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა

## 50 წელი – მუსიკის სამყაროში!



გვ.5

## ქერელი ქართველების პრობლემას აზერბაიჯანი გამოეხმაურა

გვ.6



# რთველი დაიწყო!

„ამ დროისთვის, კახეთში უკვე 17 ათასამდე ტონა ყურძენია გადამუშავებული, აქედან 10 ათას ტონამდე საფერავი, 4 ათას ტონამდე რქაწითელი, 800 ტონამდე კახური მწვანე, დანარჩენი სხვადასხვა ჯიშის ყურძენია. მევენახეების შემოსავალმა 27 მლნ ლარს მიაღწია“ — განაცხადა რთველი 2018—ის საკოორდინაციო შტაბის უფროსმა ანდრო ასლანიშვილმა.

მისი თქმით, ყურძნის გადამუშავების დღეღამური მაჩვენებელი 2 ათასიდან 4 ათას ტონამდე გაიზარდა.

„ეს იმას ნიშნავს, რომ რთველი აქტიურ ფაზაში შევიდა. ყურძნის კრეფის პროცესი კახეთის თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში დაიწყო, გარდა საგარეჯოსი, სადაც ტრადიციულად რთველი შედარებით მოგვიანებით იწყება“, - აღნიშნა რთველის საკოორდინაციო შტაბის უფროსმა, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილემ ანდრო ასლანიშვილმა.



გვ. 3

* * *

კახეთის რეგიონში დედოფლისწყარო ერთადერთი რაიონია, სადაც წელს სეტყვას ვენახი არ გაუნადგურებია. განსაკუთრებული კლიმატის გამო აქ ყურძენი რთველის ოფიციალურად დაწყებამდე 3 კვირით ადრე მწიფდება. ამიტომ, 3 სექტემბერს „რთველი 2018“ სწორედ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროდან დაიწყო. მანამდე სოფელ ფიროსმანში მუსკატის ჯიშის ყურძნის კრეფა დასრულდა. არ შეინიშნება რიგები და ყურძენს თანმიმდევრობით კრეფენ. გასულ წლებში სახელმწიფო გლეხს კილოგრამ ყურძენში გარკვეულ თანხას უმატებდა, რათა ქარხნის მიერ შეთავაზებული არასასურველი ფასი მისაღები გამხდარიყო. წელს პირველად, სახელმწიფო ყურძენზე სუბსიდიას აღარ გასცემს.

## რა იცვლება სკოლებში მოსწავლეებისთვის ახალი სასწავლო წლიდან

გვ.4



## სოფელ შაშიანში საბავშვო ბაღი დაარბიეს



გვ – 2

## ყურადღება!

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 50.2-ის განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 28 ოქტომბრამდე გაზეთი „შირაქი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ფასი კი 150 ლარით განისაზღვრება.

C M Y K

# მამუკა ბახტაძე - ჩვენ გვჭირდება ევროპელი პარტნიორების მტკიცე მხარდაჭერა

ჩვენ გვჭირდება ევროპელი პარტნიორების მტკიცე მხარდაჭერა იმ ძირითად საკითხებში, რომელიც აუცილებელია საქართველოს წინსვლისთვის, დემოკრატიის განვითარებისთვის, კეთილდღეობის მიღწევისთვის და ასევე ჩვენი მთავარი მიზნისთვის, ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრობისთვის, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ სასტუმრო „რუმსში“, „პროგრესული ალიანსის“ მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე განაცხადა. მისი თქმით, საქართველოს ამბიციური მიზნები აქვს, რომ იყოს მოწინავე ადგილებზე დემოკრატიისა და გამჭვირვალობის კუთხით.

„ჩვენ გვჭირდება ევროპელი პარტნიორების მტკიცე მხარდაჭერა იმ ძირითად საკითხებში, რომელიც აუცილებელია საქართველოს წინსვლისთვის, დემოკრატიის განვითარებისთვის, კეთილდღეობის მიღწევისთვის და ასევე ჩვენი მთავარი მიზნისთვის, ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრობისთვის. ჩვენ ძალიან მტკიცე ნაბიჯები გადავდგით დემოკრატიის მშენებლობისთვის. ხშირ შემთხვევაში ჩვენ ეს თამასა კიდევ უფრო მაღლა ავწიეთ. ამის მაგალითად შემიძლია დავასახელო ის უნიკალური შემთხვევა, რომელიც გვქონდა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, როდესაც საქართველო მოხვდა საუკეთესო 5 ქვეყანას შორის, რომლის საჯარო ფინანსების გამჭვირვალობა არის საუკეთესო. სწორედ ასეთი ამბიციური მიზნები გვაქვს ჩვენ, რომ დემოკრატიისა და გამჭვირვალობის კუთხით, ვიყოთ მსოფლიოს მოწინავე ადგილებზე“, - განაცხადა ბახტაძემ.

მისივე თქმით, საქართველო მტკიცედ ადგას დემოკრატიისა და დიდი ევროპული ოჯახისკენ მიმავალ გზას.

„ამ გზაზე ზურგს გვიმაგრებს ევროკავშირთან მჭიდრო თანამშრომლობა. მე არაერთხელ განვაცხადე და კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა ძალიან მნიშვნელოვან გარემოებას - ჩვენთვის ევროპული ოჯახი არ არის პოლიტიკური ან გეოპოლიტიკური არჩევანი, ეს არის ჩვენი ცივილიზაციური არჩევანი, ეს არის ის ოჯახი, ის სივრცე, სადაც ჩამოყალიბდა ქართული სახელმწიფოებრიობა და ამ საერთო ცივილიზაციის შექმნაში ჩვენ შევიტანეთ მნიშვნელოვანი კონტრიბუცია. სწორედ ევროპა და ევროკავშირი არის ის ერთადერთი ოჯახი, სადაც საქართველო შესაძლოა დაბრუნდეს“, - აღნიშნა ბახტაძემ.

# „მარიხუანას სულ მცირე ის აკრძალვები უნდა შეეხოს, რაც თამბაქოს ეხება“ — აკაკი ზოიძე

პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის, აკაკი ზოიძის განცხადებით, მარიხუანას მოხმარების საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ფარგლებში უმკაცრესი რეგლამენტაცია უნდა განხორციელდეს.

„იქ არის ძალიან კონკრეტული მინიშნება, როდესაც ადამიანი არის თავისუფალი მანამ, სანამ მესამე პირს მიაყენებს ზიანს. მესამე პირისთვის ზიანის მიყენება უნდა განისაზღვროს. ჩემი ინიციატივა იქნება, 21 წლიდან იყოს ნებადართული მარიხუანას მოწევა და არა, 18 წლიდან. გონებრივ განვითარებაზე მოქმედებს მარიხუანა, სანამ არ დასრულდება გონებრივი განვითარება და ეს ასაკი არის 21 წელი“, — განაცხადა აკაკი ზოიძემ.

მისივე თქმით, მარიხუანას მოხმარებას სულ მცირე ის აკრძალვები უნდა შეეხოს, რაც თამბაქოსთან დაკავშირებით მოქმედებს.

„საუბარია საჯარო ადგილებში მოწევაზე, სადაც მეორე პირს შეიძლება მიაყენო ზიანი. თუ ვინმეს ჰგონია, რომ მარიხუანას კვამლი კარცეროგენული არ არის, ძალიან ცდება. ნებისმიერი მცენარის წვით მიღებული კვამლი არის კარცეროგენი. ღია სივრცეებშიც უნდა აიკრძალოს, მაგალითად, კონცერტებზე, სტადიონებზე, სკვერებში და ა.შ, სადაც არასრულწლოვანთა ყოფნის მაღალი ალბათობაა. ეს არის აკრძალვების მინიმუმი. ამის გარდა კიდევ ვიმსჯელებთ თუ როგორ უნდა მოხდეს რეგლამენტაცია. ასევე, საჭიროა კონტროლი გარკვეული პროფესიების მიმართ მაგალითად, რომელიც ეხება ადამიანის ჯანმრთელობას - ექიმი, მძღოლი და ა.შ, რომელთა ყურადღების კონცენტრაცია აუცილებელია“, — აღნიშნა ზოიძემ.

მისივე თქმით, არსებული რისკების შესახებ მომავალ თაობას ნათელი მესიჯები უნდა მიეცეს და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები უნდა დაფინანსდეს. ჯანდაცვის კომიტეტი ამ ინიციატივის დაყენებას ბიუჯეტის განხილვის დროს, მიმდინარე თვეში გეგმავს.

30 ივლისს, საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ დააკმაყოფილა ზურაბ ჯაფარიძისა და ვახტანგ მეგრელიშვილის კონსტიტუციური სარჩელი, რის შედეგადაც გაუქმდა სამართლებრივი პასუხისმგებლობა ნარკოტიკული საშუალება მარიხუანას უკანონო მოხმარებისათვის. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ მარიხუანას მოხმარება წარმოადგენს პიროვნების თავისუფალი განვითარების ძირითადი უფლებით დაცულ ქმედებას.

ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მარიხუანას მოხმარებისათვის პასუხისმგებლობის დაწესება კონსტიტუციის შესაბამისია იმ შემთხვევებში, როდესაც მოხმარების კონკრეტული ფაქტი საფრთხეს უქმნის მესამე პირებს. მაგალითად, მარიხუანის მოხმარებისთვის პასუხისმგებლობის დაწესება გამართლებულია, თუ აღნიშნულ ქმედებას ადგილი აქვს სასწავლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ზოგიერთი სახის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე (საზოგადოებრივ ტრანსპორტში და სხვ.), ასევე არასრულწლოვანთა თანდასწრებით და ა.შ.

# „ქალთა ოთახში“ პირველი საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა

5 სექტემბერს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ,,ქალთა ოთახმა “ პირველ საინფორმაციო შეხვედრას უმასპინძლა. ოჯახში ძალადობის ფაქტებსა და მასზე რეაგირების სამართლებრივ მექანიზმებზე პრეზენტაცია გააკეთა საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის პასუხისმგებელმა პირმა გენდერულ საკითხებზე, თეო შიუკაშვილმა. მან მოკლედ ისაუბრა ოჯახური ძალადობის არსსა და ძალადობის სახეებზე , ასევე, გენდერული თანასწორობის საკითხებზე. კონკრეტულ თემებზე განმარტება გააკეთა სახელმწიფო რწმუნებულის გუბერნატორის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ვალერი ძამსაშვილმა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში, საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები და მერიის სამსახურების თანამშრომლები.

ოჯახში ძალადობა ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული და გავრცელებული ძალადობის ფორმაა და საზოგადოების ყველა ფენას მოიცავს. მას ახასიათებს ფარული, სპეციფიკური და განგრძობადი ხასიათი, რადგან ხორციელდება ოჯახის წევრის მიერ სხვა ოჯახის წევრის ან წევრების მიმართ.

აქცენტი გაკეთდა იმაზე, რომ ოჯახში ძალადობის ფაქტის პირველადი იდენტიფიკაციის და მასზე რეაგირების მიზნით შესაბამისი ორგანოებისთვის მიმართვის ვალდებულება აკისრიათ სამედიცინო დაწესებულების, საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებების, სოციალური მომსახურების სააგენტოს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილ თანამშრომლებს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა სუბიექტებს. ასეთ დროს განსაკუთრებული როლი აკისრიათ მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში, რომლებმაც ამგვარი ფაქტების შესახებ ჯობია, დროულად აცნობონ სახალხო დამცველს, რომელსაც კონფიდენციალურობის ვალდებულება აკისრია. შეხვედრა ინტერაქტიულ რეჟიმში წარიმართა და ბევრ საჭირბოროტო საკითხს შეეხო. მერის მოადგილემ მალხაზ მერაბიშვილმა შემაჯამებელ გამოსვლაში აღნიშნა, რომ პრობლემა მენტალობასა და საზოგადოების არაჯანსაღ განწყობაშია ანუ ,,რას იტყვის ხალხი“-ის სინდრომი ხშირად ხელს უწყობს ძალადობის და სუიციდის პროვოცირებას.

შეხვედრამ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა, რომ საჭიროა საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ძალადობის ფორმების და მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ. ასევე, აუცილებელია პრევენციული ღონისძიებების დროულად გატარება, რათა თავიდან ავიცილოთ არასასურველი შდეგები.

ჴ. შ . ოჯახში ძალადობისგან თავის დასაცავად მსხვერპლს შეუძლია დარეკოს გადაუდებელი დახმარების ცენტრ - 112-ში, ოჯახში ძალადობის ცხელ ხაზზე : 116 006. ასევე, კახეთის რეგიონის ოფისის ცხელ ხაზზე,: 14 81

# კრემლი უარყოფს, რომ, როგორც მაკრონმა თქვა, პუტინის ოცნებაა ევროკავშირის დაშლა



კრემლი არასწორად მიიჩნევს საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონის შეფასებას, რომ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის „ოცნებაა“ ევროკავშირის დაშლა. მაკრონმა გასული კვირის ბოლოს შვედეთის საზოგადოებრივ მაუწყებელთან ინტერვიუში თქვა, რომ პატივს სცემს პუტინს და სურს მასთან თანამშრომლობა, ევროკავშირთან მიმართებით მისი, სავარაუდოდ, ცუდი ზრახვების მიუხედავად. „პატივს ვცემ ვლადიმირ პუტინს და მივეკუთვნები იმ ლიდერებს, რომლებიც ამბობენ, რომ რუსეთთან ერთად უნდა შევქმნათ უშიშროებისა და თავდაცვის ახალი არქიტექტურა – ჩვენ გვჭირდება ასეთი დისკუსია რუსეთთან. მაგრამ ვლადიმირ პუტინის ოცნებაა ევროპის კავშირის დაშლა“, - უთხრა მაკრონმა შვედეთის ტელევიზიას. ამ განცხადებაზე გამოხმაურებისას, პუტინის პრესმდივანმა დმიტრი პესკოვმა 3 სექტემბერს უარყო, რომ პუტინი არ არის კეთილგანწყობილი ევროკავშირის მიმართ. „ჩვენს ინტერესებშია, რომ ევროკავშირში კეთილდღეობა და სტაბილურობა იყოს“, განაცხადა პესკოვმა მოსკოვში ჟურნალისტებთან საუბრისას. მისივე თქმით, პუტინს უკვე არაერთხელ და მკაფიოდ აქვს გამოხატული ეს პოზიცია, რომლის შეცვლასაც არ აპირებს. მაკრონისა და პუტინის ბოლო შეხვედრა გაიმართა ზაფხულში რუსეთში, ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც საფრანგეთის ნაკრების გამარჯვებით დასრულდა.

# სოფიო ქაცარავა — იაპონია მხარში უდგას საქართველოს და ყველა საერთაშორისო ფორმატში მტკიცედ უჭერს მხარს

საქართველოს დამოუკიდებლობის დღიდან იაპონია მხარში უდგას საქართველოს და ყველა საერთაშორისო ფორმატში მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტს, - ამის შესახებ სოფიო ქაცარავამ იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის საქართველოში ვიზიტის შეფასებისას განაცხადა.

სოფიო ქაცარავას თქმით, იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი საქართველოში ნათლად გამოხატავს ორი ქვეყნის ურთიერთობების მზარდ დინამიკას და მნიშვნელობას.

„იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი საქართველოში ნათლად გამოხატავს ჩვენი ურთიერთობების მზარდ დინამიკას და მნიშვნელობას. ეს არის პირველი პრეცედენტი, როდესაც იაპონიის ასეთი მაღალი დონის პოლიტიკოსი სტუმრობს საქართველოს. საქართველოს დამოუკიდებლობის დღიდან იაპონია მხარში უდგას საქართველოს და ყველა საერთაშორისო ფორმატში მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას და ქვეყნის განვითარებას;

ჩვენთვის მნიშვნელოვანია იაპონიასთან სავაჭრო-ეკონომიკურინ ურთიერთობების გაღმავება და ინვესტიციების მოზიდვა. სწორედ ტარო კონოს ვიზიტი გახდება ერთგვარი გზავნილი იაპონელი ბიზნესმენებისთვის, რომ მეტი ინვესტიცია განახორციელონ საქართველოში;

დარწმუნებული ვარ, რომ ეს ვიზიტი საქართველო-იაპონიის ურთიერთობებში ახალ ფურცელს გადაშლის და აიყვანს მათ სრულიად ახალ საფეხურზე“, - განაცხადა სოფიო ქაცარავამ.

აღნიშნულ ინფორმაციას საქართველოს პარლამენტი ავრცელებს.

# სოფელ შაშიანში საბავშვო ბაღი დაარბიეს

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ შაშიანში საბავშვო ბაგა-ბაღი დაარბიეს. განადგურებულია სათამაშოები, დახეულია წიგნები, დამტვრეულია ჭურჭელი და ავეჯი. საბავშვო ბაღის მენეჯერის, ნანა აბაშიძის თქმით, სავარაუდოდ არასრულწლოვნებმა შენობაში გუშინ, დღის მეორე ნახევარში იმ დროს შეაღწიეს, როდესაც დარაჯი სამუშაო ადგილზე არ იმყოფებოდა.

„კვირა იყო და ვისვენებდით. დაახლოებით, 19:30 საათზე დარაჯმა დამირეკა და მითხრა, რომ ყველაფერი დამტვრეული და გადმოყრილი იყო. აქ პოლიციასთან ერთად შემოვედი და ეს სურათი დამხვდა. ერთ-ერთ ოთახში, ბავშვების საწოლებში იწვნენ კიდეც, საზამთრო გვქონდა მოტანილი და ისიც მიურთმევიათ. ფასეული არაფერია წაღებული. სათამაშოები მოვინაკლისეთ, ჩემი სამუშაო მაგიდიდან კალკულატორი და ასეთი წვრილმანებია წაღებული“, — ამბობს ბაღის მენეჯერი.

„ეს დღის საათებშია გაკეთებული. სააღმზრდელო დაწესებულებას დარაჯი ჰყავს, მაგრამ მეურნეობა აქვს და ალბათ, გასული იყო იმ პერიოდში. განადგურებულია აბსოლუტურად ყველაფერი, რასაც წლების მანძილზე ვაკეთებდით და რაც საკუთარი ხელებით შევქმენით. ლოგინებზე გადადიოდნენ, ფეხსაცმელების კვალიც არის. ეტყობა ამ ნგრევით დაიღალნენ, დაწვნენ და დაისვენეს“, — განაცხადა აღმზრდელმა ელენე ბერიკელაშვილმა.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის, ნიკოლოზ გეთიაშვილის განცხადებით, საბავშვო ბაღს აუცილებელი ნივთებით დაეხმარებიან და სააღმზრდელო პროცესი არ შეფერხდება.

შაშიანის საბავშვო ბაგა-ბაღში 110-მდე ბავშვი დადის. ზაფხულის არდადეგების შემდეგ, ისინი ბაღში 17 სექტემბრიდან უნდა დაბრუნდნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით დაიწყო, რაც სხვისი ნივთის დაზიანებას გულისხმობს. სამართალდამცველებს ჯერ არავინ დაუკავებიათ.

# ბრაზილიის ეროვნულ მუზეუმში ხელოვნების ნიმუშები დაიწვა

ბრაზილიის და მთლიანად სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთი უძველესი მუზეუმი იწვის. ამ დროისთვის ცეცხლი „თითქმის კონტროლდება“ – აცხადებს ადგილობრივი სახანძრო დეპარტამენტის პრესსპიკერი. ხანძრის სრულ ჩაქრობას რობერტო რობადლის თქმით, კიდევ რამდენიმე საათი დასჭირდება. ხელოვნების ნიმუშების მცირე ნაწილის გადარჩენა მოხერხდა, მაგრამ დიდი ნაწილი დამწვარია.

ეროვნული მუზეუმი 200-ზე მეტი წლისაა და მასში 20 მილიონზე მეტი ხელოვნების ნიმუში ინახებოდა. ხანძარს მსხვერპლი არ მოჰყოლია, მაგრამ ბრაზილიის პრეზიდენტის მაიკლ ტემერის თქმით, სახელმწიფომ „აუნაზღაურებელი“ დანაკლისი განიცადა.

„ეს ბრაზილიისთვის ტრაგიკული დღეა“ - ამბობს პრეზიდენტი ტემერი. “კვლევის და ცოდნის ორასწლოვანი ისტორია დაიკარგა... კულტურა გლოვობს, ქვეყანა გლოვობს”. მუზეუმის ვებგვერდი იუწყება, რომ იქ ხელოვნების ნიმუშების გარდა, 20 ათასზე მეტი ისტორიული ფასეულობის მქონე ნივთი ინახებოდა.

# რთველი დაიწყო! პირველი წელი სუბსიდირების გარეშე

*კახეთის რეგიონში დედოფლისწყარო ერთადერთი რაიონია, სადაც წელს სეტყვას ვენახი არ გაუნადგურებია. განსაკუთრებული კლიმატის გამო აქ ყურძენი რთველის ოფიციალურად დაწყებამდე 3 კვირით ადრე მწიფდება. ამიტომ, 3 სექტემბერს „რთველი 2018“ სწორედ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროდან დაიწყო. მანამდე სოფელ ფიროსმანში მუსკატის ჯიშის ყურძნის კრეფა დასრულდა. არ შეინიშნება რიგები და ყურძენს თანმიმდევრობით კრეფენ. გასულ წლებში სახელმწიფო გლეხს კილოგრამ ყურძენში გარკვეულ თანხას უმატებდა, რათა ქარხნის მიერ შეთავაზებული არასასურველი ფასი მისაღები გამხდარიყო. წელს პირველად, სახელმწიფო ყურძენზე სუბსიდიას აღარ გასცემს. იყო მოლოდინი, რომ ეს ვნებათაღელვას გამოიწვევდა, მაგრამ ამ დროისთვის უკმაყოფილება არ ისმის. როგორც ჩანს, სუბსიდირების გაუქმება ძირითადად ქარხნების კისერზე გადაივლის. ამჟამად რქაწითელის საშუალო ფასი 80 თეთრია, საფერავის კი ორ ლარამდე მერყეობს. თუმცა, ეს საბოლოო მაჩვენებელი არ არის.*



სოფელში შესვლისთანავე თვალშისაცემია, რომ რთველმა უხმაუროდ უნდა ჩაიაროს. სამთაწყაროს ცენტრში მდებარე ცნობილი ბირჟა, ჩემდა გასაოცრად, ცარიელი დამხვდა. არადა, არც ისე შორეულ წარსულში, რთველის მიმდინარეობისას მთელი სოფელი აქ იყრიდა თავს. იყო მუდმივი ხმაური. გრძელი რიგები როგორც ქარხნებთან, ისე სოფელში. მოსავალი ფუჭდებოდა, მისი დაბინავება კი ათას დაბრკოლებასთან იყო დაკავშირებული. ამიტომაც იყო მოულოდნელი და გამიკვირდა, რომ სოფლის ცენტრში უჩვეულო სიმშვიდე იყო. რთველის დაწყებას ვერც იგრძნობდით, გზებზე რამდენიმე ყურძნით დატვირთულ „კამაზს“ რომ არ გაევლო. სიმშვიდე დაგვხვდა ქვემოთ, ალაზნის პირას, ვენახებში ჩასვლის შემდეგაც. ადგილობრივებმა ისიც გამახსენეს, დაახლოებით ათიოდე წლის წინ კახეთის გუბერნატორმა პეტრე ცისკარიშვილმა ამ სოფლებში სპეცრაზმი რომ ჩააყენა და სამთაწყაროელებს ემუქრებოდა, პროტესტი არ გაბედოთო.

სამთაწყაროში მცხოვრები ნიკოლოზ სარდალაშვილი 2 ჰექტარზე 20 ტონა საფერავს ელოდება. ამბობს, რომ სუბსიდირების გაუქმების მიუხედავად ფასით უკმაყოფილო არ არის და ვარაუდობს, რომ შეფერხებები არც ქარხანაში ჩაბარებისას შეექმნება.

**„ამჟამად არსებული ფასები კარგია, არც ჩაბარებაზე გვაქვს პროლემა. თანხას**



**ხელზე გვიხდიან, გასული წლების მსგავსად თვეობით არ ველოდებით ჩვენი ნაშრომის ანაზღაურებას. დღევანდელი მდგომარეობით არანაირი პრობლემა არ გვაქვს. ყველაზე უმაღლესი მოსავალი მივიღეთ, წელს 20 ტონაზე ნაკლებს არ ველოდები. მხოლოდ მე კი არა, ყველა გლეხი კმაყოფილია. წელს ისე აღმოჩნდა, რომ ამინდებიც კარგი იყო, ძალიან გაგვიმართლა,“** – აღნიშნავს მევენახე.

უხვ მოსაალზე საუბრობენ სხვა სამთაწყაროელებიც. ამინდის ხელშეწყობასთან ერთად მათ დიდ ნაწილს წელს ვენახის მორწყვის შესაძლებლობა პირველად მიეცა. შედეგად მოსავლის ოდენობაც გაიზარდა და ხარისხიც. გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას საინტერესო პარალელებს ავლებს კიდევ ერთი მევენახე. ვალიკო აბაშიძეს სოფელ ფიროსმანში 4 ჰექტარი ვენახი აქვს, წელს 30 ტონამდე მოსავალს ელის, მაშინ როცა გასულ წელს 7 ტონა, შარშანწინ კი მხოლოდ 2 ტონა მოკრიფა. რეკორდული იყო მუსკატის ჯიშის ყურძენიც, რომელიც მხოლოდ ამ ზონაშია გაშენებული.

**„გასულ წლებთან შედარებით მართლა კარგი მოსავალია. ჯერ არნახული რაოდენობით დაკრიფა სოფელმა მუსკატის ჯიშის ყურძენი, რომელიც ჩაბარდა და ფულიც მაშინვე მიიღეს. გვაქვს ხელისშეწყობა ხელისუფლების მხრიდან, როგორც ადგილობრივი მერიის, ისე სამინისტროს წარმომადგელები მხარში გვიდგანან. ამინდებიც კარგი იყო, მაგრამ ყველაზე მეტად ის დაგვეხმარა, რომ სარწყავი სისტემა გაკეთდა, წელს უმეტესი ვენახების მორწყვა მოხერხდა. წელს მთლანად დასრულდება სარწყავი სისტემის აღდგენა და სამომავლოდ კიდევ უფრო გაუმჯობესებას ველოდებით. 4 ჰექტარი ვენახი მაქვს, შარშანწინ 2 ტონაც ვერ დავკრიფე, გასულ წელს 7 ტონამდე მივიღე, ამჯერად 30 ტონაზე ნაკლებს არ ველოდები. ფასებზე პრეტენზიები არ არის. 250 ტონა მუსკატი უკვე ჩაიბარა „ასკანელი ძმების“ ღვინის ქარხანამ. „კტვ“ „დუგლაძეები“, სხვადასხვა კომპანიები შემოდიან, გვაქვს შემოთავაზებები. კონკურენცია ირთვება და ვინც მაღალ ფასს შესთავაზებს გლეხს, ყურძენსაც მასთან ჩააბარებენ,“** – ამბობს ვალიკო აბაშიძე.





რთველის დაწყებას დედოფლისწყაროში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი დაესწრო, ის ფიქრობს, რომ ყურძნის ფასი თავისუფალმა ბაზარმა სუბსიდირების გარეშე უნდა დაარეგულიროს.

– **„წელს რეკორდულ მაჩვენებელს ველოდებით. ინდუსტრიულად მოსალოდენლია, რომ 150 000 ტონაზე მეტი ყურძენი გადამუშავდება. საკმაო მოთხოვნაა და ფასებიც მისაღებია ფერმერებისთვის. პირველი წელია, როდესაც ყველანაირ კომპენსაციაზე უარი ვთქვით, თუმცა 2017 წელს პირდაპირი სუბსიდია გავაჩერეთ. ნაბიჯ-ნაბიჯ მივდივართ იქითკენ, რომ ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების პრინციპებით ჩამოყალიბებული ფასი იქნება ისეთი, რომ განაპირობებს მევენაახეების მოტივაციას წარმოების შენარჩუნებისა თუ გაზრდის კუთხით,“** – აღნიშნა ლევან დავითაშვილმა.

– „რთველის საკოორდინაციო შტაბი განაგრძობს უწყევტ რეჟიმში მუშაობას. დღეის მონაცემებით 5000 ტონა ყურძენია გადამუშავებული. სახელმწიფოს მიერ გატარებული სწორი პოლიტიკის შედეგად, მზარდია იმ კომპანიების რიცხვი, რომელიც ერთ მხრივ რთველში მონაწილეობს, მეორე მხრივ კი ქართული ღვინის ექსპორტში. ვფიქრობ, ეს ფაქტორები განაპირობებს იმას, რომ რთველი კარგად წარიმართოს და მოსავალი ოპერატიულად დაბინავდეს. ჩაუბარებელი ყურძენი არ დარჩება. ამ კუთხით საკმაოდ ჯანსაღი მდგომარეობაა და რაიმე გართულებებს არ უნდა ველოდეთ,“ - განუცხადა „შირაქს“ რთველის საკოორდინაციო შტაბის ხელმძღვანელმა ანდრო ასლანიშვილმა.

ყურძნის წლევანდელი მოსავლიანობით კმაყოფილია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილიც. ის სტატისტიკას იშველიებს და ამბობს, რომ დედოფლისწყაროში ყურძნის რეკორდული მოსავალია და შარშანდელზე 1000 ტონით მეტ ყურძენს ელის.

**„კარგი მოლოდინი მაქვს, გლეხების შემხედვარე იმედით ვუყურებ რთველს და მჯერა, რომ მშვიდად ჩაივლის პროცესი. სამინისტრო გვპირდება, რომ არცერთი მარცვალი არ დარჩება ჩაუბარებელი. მოგეხსენებათ, რომ დედოფლისწყაროში, სხვა რაიონებისგან განსხვავებით, სეტყვას ვენახი არ გაუფუჭებია, ამიტომ მოლოდინი გვაქვს, რომ შარშანდელზე 1 000 ტონით მეტ ყურძენს მოვკრეფთ. რთველის შტაბის წარმომადგენლები და მერია კოორდინირებულად მუშაობენ საიმისოდ, რომ ყველა გლეხის მოსავალი აღირიცხოს და მათზე გაიცეს შესაბამისი დოკუმენტი, რომ დროულად შეძლონ ქარხნებში ჩაბარება. იქიდან გამომდინარე, რომ ამ სოფლებში ნაწილობრივ უკვე ჩაირთო ჩვენი ახალი სარწყავი სისტემა, ამან წელს კონკრეტული შედეგი უკვე მოგვცა. მაგალითისთვის, თუ შევადარებთ, 250 ტონა მუსკატის ჯიშის ყურძები ჩაბარდა, მაშინ, როცა წინა წლებში სოფელი ფიროსმანი მთლიანად ყველა ჯიშის ყურძენს 300 ტონაზე მეტს ევრ კრეფდა,“** – აცხადებს ნიკოლოზ ჯანიაშვილი.

ჯერ არ დაწყებულა მასიური რთველი დედოფლისწყაროს დანარჩენ ზონებში, ენამთასა და არბოშიკში. მაგრამ „შირაქი“ იქაურ მევენახეებსაც გაესაუბრა. ისინიც კმაყოფილებას გამოხატავენ და დიდ მოსავალს ელიან, ამას კი ხელი ამინდებმაც შეუწყო.

**„6 პლანი ვენახი მაქვს, შარშანდელთან შედარებით კარგ მოსავალს ველი. 1,2 ტონას ვკრეფ ხოლმე, გასულ წელს ამის ნახევარიც არ მომიკრეფია, იმდენად ცუდი ვითარება იყო. რქაწითელი მაქვს და ამჯერად მსხმოიარობით გამოირჩევა. არ ვაბარებ ხოლმე ქარხნებში, სახლში ვწურავ და ოჯახისთვის მოვიხმარ. 7 ჯერ მაქვს შეწამლული და ხარისხი კარგია. ვენახი ძლივს გადავარჩინეთ, ჭრაქის ამინდები დიდხანს გაგრძელდა. მთელი ივნისისა და ივლისის განმავლობაში მზე-წვიმა ერთმანეთს ენაცვლებოდა, ასეთი ამინდი კი ხელს უწყობს ჭრაქის განვთარებას და უნდა ითქვას ზღვარზე გავიარეთ, მაგრამ დროული რეაგირებით გადავარჩინეთ ვაზი. საბოლოო ჯამში წელს გლეხი კმაყოფილია, ამინდმა ხელი შეუწყო. აქეთ არც სეტყვა ყოფილა,“** - აღნიშნავს არბოშიკელი მევენახე.

„ამ დროისთვის, კახეთში უკვე 17 ათასამდე ტონა ყურძენია გადამუშავებული, აქედან 10 ათას ტონამდე საფერავი, 4 ათას ტონამდე რქაწითელი, 800 ტონამდე კახური მწვანე, დანარჩენი სხვადასხვა ჯიშის ყურძენია. მევენახეების შემოსავალმა 27 მლნ ლარს მიაღწია“ — განაცხადა რთველი 2018—ის საკოორდინაციო შტაბის უფროსმა ანდრო ასლანიშვილმა.

მისი თქმით, ყურძნის გადამუშავების დღელამური მაჩვენებელი 2 ათასიდან 4 ათას ტონამდე გაიზარდა.

„ეს იმას ნიშნავს, რომ რთველი აქტიურ ფაზაში შევიდა. ყურძნის კრეფის პროცესი კახეთის თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში დაიწყო, გარდა საგარეჯოსი, სადაც ტრადიციულად რთველი შედარებით მოგვიანებით იწყება“, - აღნიშნა რთველის საკოორდინაციო შტაბის უფროსმა, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილემ ანდრო ასლანიშვილმა.

ილია მარტყოფლიშვილი

# რა იცვლება სკოლებში მოსწავლეებისთვის ახალი სასწავლო წლიდან

ხორავას ქუჩაზე მოკლული მოზარდების საქმეზე, პარლამენტის საგამოძიებო კომისიამ გამოაქვეყნა დასკვნის ნაწილი, სადაც მოყვანილია ბოლო წლების სტატისტიკა- ქვეყნის მასშტაბით მოსწავლის მიერ მოსწავლეზე სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტების. მაგალითად 2015-16 წლებში იყო - 2 582 შემთხვევა, ხოლო 2017-2018 წლებში - 3 673. ხორავას ქუჩის მკვლელობის საქმე განათლების სისტემაში არსებული ბევრი პრობლემის ინდიკატორი გახდა. პირველი, მათ შორის, ბუნებრივია, არის სკოლის უსაფრთხოება. ამ კუთხით ცვლილებები ახალი სასწავლო წლიდან იგეგმება. სკოლაში მოსწავლეებს მეტალო დეტექტორით შეამოწმებენ; შემოდის ტერმინი - უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსწავლეს მისივე სქესის მანდატური შეხების გარეშე, მეტალო-დეტექტორით შეამოწმებს. რა ცვლილებები იგეგმება ახალ სასწავლო წელს სკოლებში?- პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავჯდომარე მარიამ ჯაში საუბრობს.

**-უსაფრთხოების თემით დავიწყოთ. პირველ რიგში, თქვენი შეფასებაა საინტერესო - რამდენად სისტემურია პრობლემები ამ ნაწილში? ეს არის მეტ-ნაკლებად მაინც გამონაკლისი შემთხვევები, თუ მთელი სისტემის შეცდომის შედეგი?**

მე ვფიქრობ, რომ ხორავას ქუჩის ტრაგედიის შემდგომ არაერთი შეფასება გაკეთდა სკოლის უსაფრთხოების საკითხის და ჩვენ ცალსახად ვაფიქსირებდით, რომ 4 წლის განმავლობაში მსგავსი მასშტაბის ტრაგედია სკოლის სფეროსთან ასოცირებულ სივრცეში არ მომხდარა. გარკვეული ნაბიჯები იყო გადადგმული, რომელიც სისტემური პრობლემების არსებობას გამორიცხავდა, თუმცა ამ ტრაგედიამ დაგვანახა, რომ ცვლილებები ჯერ კიდევ აუცილებელი იყო და სწორედ ამიტომ ჩვენ ახალი საკანონმდებლო ინიციატივა მივიღეთ, რომელიც ამ ეტაპზე ეხება მანდატურის სამსახურის რეფორმებს. ეს არის ერთ-ერთი და არა ერთადერთი ცვლილება, რომელსაც ვახორციელებთ და როგორც თქვენ აღნიშნეთ, მეტალო დეტექტორებით შემოწმება მოხდება დიდ კონტიგენტიან სკოლებში ეჭვის მიტანის შემთხვევაში. ბუნებრივია, ეს არ იქნება მასშტაბური შემოწმების ოპერაციები; გარდა ამისა, ძლიერდება ვიდეო დათვალიერება როგორც სკოლის შიდა პერიმეტრის, ასევე გარე პერიმეტრის; კოორდინაცია, როგორც სკოლის ტერიტორიის უსაფრთხოების, ასევე გარე პერიმეტრის უსაფრთხოების და კვალიფიკაციის მოთხოვნები იზრდება უშუალოდ მანდატურის სამსახურების თანამშრომლების მიმართ. ეს არის კომპლექსური რეფორმა, რომელიც ფსიქოლოგიური სამსახურის გაძლიერებასა და მშობელთა ჩართულობის და ახალგაზრდებში საინფორმაციო-საგანმანათლებლო კომპონენტთან ერთად განხორციელდება.

**-ხორავას ქუჩის მკვლელობის საგამოძიებო კომისიის დასკვნის ნაწილში ძალიან საინტერესო მონაცემები იყო. შეგვიძლია ვთქვათ, რომ საგანგაშო სტატისტიკაა. მხოლოდ 51-ე სკოლის რიცხვები რომ წავიკითხოთ, მოსწავლის მიერ მოსწავლეზე ძალადობის შემთხვევა ამ სასწავლო წელს 140 დაფიქსირდა. ძალიან უხეშად ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველ მესამე დღეს იყო ჩხუბი - ან სიტყვიერი, ან ფიზიკური. სკოლიდან გაპარვის შემთხვევა იყო - 116, გაკვეთილების ჩაშლის - 143 მცდელობა. ეს არის სასწავლო დღეების ნახევარზე ცოტათი ნაკლები. ამ პრობლემებს მოაგვარებს მხოლოდ მეტალო დეტექტორი? ან რა შედეგს ელოდებით კომპლექსურად, მაშინ როცა ამბობთ, თითქოს არც ისე მასშტაბური ჩანდა ეს ყველაფერი?**

-როგორც აღვნიშნე, მეტალო დეტექტორი არის მხოლოდ ერთი კომპონენტი მრავალკომპონენტიან ცვლილებაში, რომელიც მხოლოდ მანდატურის სამსახურში ხორციელდება, მაგრამ მანდატურის სამსახურის რეფორმით არ სრულდება ჩვენი საუბარი და მუშაობა სკოლის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. სკოლის უსაფრთხოება მოიცავს როგორც მშობელთა ჩართულობის გაძლიერებას, ასევე ფსიქოლოგიური სამსახურების გაძლიერებას, ახალგაზრდებთან საკონსულტაციო სერვისების გაფართოებას და ის, რაც მთელი მსოფლიოს არაერთი ქვეყნის გამოცდილების მაგალითზე დაფიქსირდა, სახელოვნებო და სპორტული განათლების კომპონენტის გაძლიერებას, რომელიც ითვლება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრევენციულ ღონისძიებად სკოლის უსაფრთხოების და მოსწავლეთა შორის დანაშაულის და კონფლიქტის პრევენციის კუთხით.

**2017-2018 სასწავლო წლების განმავლობაში, სკოლებიდან 176 ერთეული მაღალი რისკის შემცველი ნივთია ამოღებული, მათ შორის დანა და სხვადასხვა ბასრი საგნები. სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურზე დაყრდნობით ინფორმაციას „ინტერპრესნიუსი“ ავრცელებს.**

**მანდატურის სამსახურის ცნობით, სულ, 2017-2018 სასწავლო წლებში სკოლებში 96 084 დარღვევა გამოვლინდა.**

**„96 084 დარღვევიდან 83 066 არის ისეთი დისციპლინური გადაცდომა, როგორიცაა: მოსწავლის დილის დაგვიანება, გაკვეთილის ჩაშლა, გაკვეთილის ჩაშლის მცდელობა, გაკვეთილიდან გაპარვა, მობილური ტელეფონით სარგებლობა. ამასთან, 2017-2018 სასწავლო წლის მანძილზე, ამოღებულია 176 ერთეული მაღალი რისკის შემცველი ნივთი, მათ შორის დანა, ბასრი საგანი და კასტეტი. საგულისხმოა, რომ თითოეული მსგავსი შემთხვევის თაობაზე ეცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურებს”, - აცხადებენ მანდატურის სამსახურში.**

**2 სექტემბერს ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმეზე შექმნილმა საპარლამენტო კომისიამ დასკვნა გამოაქვეყნა. კომისიამ გაანალიზა სტატისტიკა, რაც ადასტურებს სკოლებში უსაფრთხოების კუთხით სერიოზულ პრობლემებს.**

**სტატისტიკის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ საგრძნობლად მომატებულია ქვეყნის მასშტაბით მოსწავლის მიერ მოსწავლეზე სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტები: მაგალითად 2015-16 წლებში 2582 შემთხვევა იყო, ხოლო 2017-18 წლებში- 3673.**

**-და ეს ყველაფერი შეცვლის ამ ციფრებს, რაც ახლა წავიკითხე?**

-ბუნებრივია, ეს ყველაფერი მიმართულია იმისთვის, რომ მდგომარეობა გაუმჯობესდეს. თუმცა, ისევ და ისევ, დინამიკაში სიტუაციის დაკვირვებით თუკი გავაკეთებთ წლებს შორის შედარებას, ნამდვილად არ იკვეთება კატასტროფული მდგომარეობა. ბუნებრივია, ნებისმიერი ქვეყნისთვის სკოლის უსაფრთხოების საკითხი პრობლემატურია...

-თუმცა ძალადობის მაჩვენებელი გაზრდილი იყო. რადგან წლების შედარება ახსენეთ, ფაქტია, რომ ბოლო 3 წელიწადში მაჩვენებლების ზრდაა.

-შეიძლება კონკრეტული სკოლის მაგალითზე იყოს გარკვეული პრობლემები...

-მთელი საქართველოს მასშტაბის მაგალითზე იყო ზრდა.

-მე კიდევ ერთხელ დეტალურად გავეცნობი ამ ინფორმაციას, მაგრამ მინდა აღვნიშნო, რომ ბოლო 4 წლის მანძილზე ხორავას ტრაგედია, ბუნებრივია, იყო ნამდვილად ერთ-ერთი უდიდესი ტკივილი და გამოუსწორებელი შეცდომა, რომელიც იქნა დაშვებული.



**-ვისაუბროთ სხვა თემებზეც და დაგეგმილ ცვლილებებზეც. 17 სექტემბერს დაიწყება სწავლა და სკოლაში შესვლის ასაკი კვლავ სადაოა. ვინ შეძლებს წელს პირველ კლასში შესვლას, რა თარიღამდეა ეს ზღვარი, როცა ბავშვს შეუძლია პირველი კლასის მოსწავლე გახდეს?**

-რამდენადაც წელს 17 სექტემბერს იწყება სასწავლო წელი, რამდენადაც ეს საკითხი იხილებოდა განათლების სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, 17 სექტემბრამდე დაბადებული ბავშვები სკოლაში შესვლას შეძლებენ. თუმცა მთავარ კითხვას რომ დავუბრუნდეთ, რამდენად შესაძლებელია სკოლის ასაკის გადახედვა - ეს საზოგადოებისთვის ძალიან მტკივნეული შეკითხვაა და ხშირად მომმართავენ ამ საკითხით მშობლები. 3 წლის წინ გადაწყვეტილება იქნა მიღებული ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით. მათ შეაფასეს სასკოლო ინფრასტრუქტურის, სასწავლო პროგრამების და უშუალოდ საერთაშორისო რეკომენდაციების შეჯერებით მოსწავლეთა მზაობის სასურველი ინდიკატორები. წელს მნიშვნელოვანი ცვლილება ხდება დაწყებით საფეხურზე სახელმძღვანელოებთან და სასწავლო პროგრამებთან დაკავშირებით. მე არ გამოვრიცხავ, რომ სამომავლოდ ჩვენ დავაყენოთ საკითხი სწავლის დაწყების ასაკთან დაკავშირებით, მაგრამ ეს მოითხოვს დროს და დამატებით დაკვირვებას.

**-ცვლილებებია გაკვეთილების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით და იცვლება საშინაო დავალების მიმართ მიდგომა. უფრო დეტალურად თუ გვეტყვით ამის შესახებ?**

-აღნიშნული ცვლილება გაკვეთილების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით ძირითადად ეხება მეორე კლასელებს. დღემდე პირველი კლასის მოსწავლეები 35-წუთიანი გაკვეთილებით სარგებლობდნენ. მეორე კლასში 45-წუთიდან 40-წუთამდე მცირდება ხანგრძლივობა, ხოლო მესამე კლასიდან სტანდარტულად 45-წუთიანი გაკვეთილები დარჩება. თუმცა აქვე, დიდკონტიგენტიანი სკოლების მოთხოვნისა და შემდგომი მსჯელობის საფუძველზე, როგორიცაა კლასიკური გიმნაზია, 186-ე, ძირითადად თბილისის და დიდი ქალაქების სკოლებს ეხება ეს ცვლილება, შესაძლებელია, რომ 2 და 3-ცვლიან სასწავლო პროცესში ჩართულმა სკოლებმა თავად მიიღონ გადაწყვეტილება, 40-წუთამდე შეამცირონ ნებისმიერი ნებისმიერი კლასის გაკვეთილი.

**-დიდი კონტიგენტი რადგან ახსენეთ, მაქსიმუმ რამდენი მოსწავლე უნდა იყოს კლასში?**

-ჩვენი დღევანდელი კანონმდებლობით, საშუალოდ, 25 მოსწავლეა სტანდარტი, თუმცა 29-მდე შეიძლება იყოს გაზრდილი მე-7 კლასის ჩათვლით, ხოლო მაღალი კლასები, რომლებიც ჯერ კიდევ ხელმძღვანელობენ წინა ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, იქ, შესაძლოა, 30-დან 35-ბავშვამდე გვყავდეს თითოეულ კლასში. ეს ასევე შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, 25 ბავშვი საშუალოდ, მათ შორის ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნების რეკომენდაციებს.

**-შინაარსობრივ ცვლილებებზეც ვისაუბროთ. მე-5 კლასში სკოლამ მოსწავლეს უნდა უკვე შესთავაზოს არა ერთი, არამედ ორი უცხო ენა. რამდენად არის მზად განათლების სისტემა ამ ტიპის ცვლილებისთვის?**

-მაყურებლისთვის რომ განვმარტოთ, ინგლისურ ენა, რომელიც არის სავალდებულო უცხო ენა, მისი შესწავლა იწყება პირველივე კლასიდან, მეორე სემესტრიდან პირველ რიგში ზეპირმეტყველება, ხოლო მე-5 კლასიდან, როდესაც იყო ერთი სავალდებულო დამატებითი მეორე უცხო ენა, ჩვენი საკადრო რესურსებიდან გამომდინარე ძირითადად ხდებოდა რუსული ენის შეთავაზება. ჩვენ გვინდა, რომ ევროპული ენების არჩევანი გაფართოვდეს ბავშვებისთვის. ასევე გაიზარდოს არჩევანი სხვა ენების მიმართებაში, მათ შორის ჩინურ ენასთან მიმართებაში და უკვე მე-5 კლასიდან სკოლებს ექნებათ საშუალება შესთავაზონ ორი უცხო ენა, გარდა ინგლისურისა და მშობლის გადაწყვეტილებით მოხდება შესაბამისი ენის არჩევა. სკოლების მზაობა არის უზრუნველყოფილი. ბუნებრივია, ამ გადაწყვეტილებას ახლდა შესაბამისი ანალიზი და საკადრო რესურსიც შესაბამისად იქნება მოწვეული სხვადასხვა სკოლის მიერ.

**-მომდევნო სასწავლო წლებში სკოლებში იგეგმება ფინანსური განათლების დანერგვა. რატომ მიიღეთ ეს გადაწყვეტილება და ვთქვათ, რომელი კლასიდან უნდა შევიდეს ეს საგანი, ეს იქნება ცალკე საგანი თუ რომელიმე საგნის შემადგენელი კომპონენტი?**

-ფინანსური განათლება ძირითადად იქნება „მე და საზოგადოების“ და „ჩვენი საქართველოს“ საგნის ნაწილი. ეს გახლავთ ფინანსური განათლების ელემენტები, რომელიც სექტემბრიდან დაინერგება დაწყებით კლასებში, მე-3 და მე-6 კლასის ჩათვლით, გარკვეული ძირითადი პრინციპებით, თუმცა უფრო საფუძვლიანი შესწავლა ფინანსური განათლების დაიწყება საბაზო საფეხურზე, რომლის ახალი სახელმძღვანელოები 2019 წლიდან იქნება მზად. მოგახსენებთ, რომ ეს არის ბევრ ქვეყანაში, მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებში, დიდ ბრიტანეთში, კანადაში, აშშ-ში ფართოდ აპრობირებული მიდგომა, როდესაც ადრეული ასაკიდანვე მოსწავლეები ეუფლებიან ფინანსური მართვის ძირითად პრინციპებს და მათ შეუძლიათ საკუთარი ცხოვრების მანძილზე უფრო ეფექტურად მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები ფინანსური რესურსების მართვასთან დაკავშირებით. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ეროვნული ბანკი უკვე ჩართულია პილოტურ ფაზაში აღნიშნული სასწავლო პროგრამის და ძალიან საინტერესო მიდგომა იქნება.

**-წინა კითხვას მინდა დავუბრუნდე, უბრალოდ სრულად არ გიპასუხიათ. საშინაო დავალების მიდგომის ცვლილებასთან დაკავშირებით, კონკრეტულად, რა იცვლება, უფრო მეტი დეტალი რომ გვითხრათ?**

-საშინაო დავალებების შეფასება არ მოხდება პირველიდან მე-6 კლასის ჩათვლით, თუმცა, ბუნებრივია, მასწავლებელი ინდივიდუალურად მოახდენს თითოეული მოსწავლის აკადემიური მომზადების შეფასებას და რეკომენდაციების მიწოდებას.

**-ბოლოს აუცილებლად უნდა გკითხოთ „შავი ზღვის უნივერსიტეტზეც“, რომელიც პრობლემებით ხვდება ახალ სასწავლო წელს. უნივერსიტეტმა გადასახადი გადაიხადა, ანუ მოაგვარა პრობლემა, რასაც ავტორიზაციის საბჭო მას ედავებოდა. როგორ ფიქრობთ, ამის შემდეგაც უნდა დარჩეს კითხვები ავტორიზაციის საბჭოს?**

-თუკი ფინანსური დავალიანება იყო ერთადერთი პრობლემა, რომლის წინაშეც იდგა „შავი ზღვის უნივერსიტეტი“, ბუნებრივია, სააპელაციო პროცესის დასრულების შემდგომ მათ ხელახალი ავტორიზაცია მიეცემათ. სამწუხაროა, რომ მეც ძალიან განვიცადე ახალი სასწავლო წლის დაწყებისთანავე ამ პრობლემის აღმოჩენა, რადგან, ბუნებრივია, ახალ აბიტურიენტებს, წარმატებულებს, რომლებმაც „შავი ზღვის უნივერსიტეტში“ ჩააბარეს, მათ ჰქონდათ მოლოდინები, რომ სექტემბრიდანვე მათთვის სასურველ უნივერსიტეტში გააგრძელებდნენ სწავლას, მაგრამ დიდი იმედი მაქვს, რომ ის საგანგებო მობილობა, რომელიც იქნება დაშვებული, ყველა პირობის შესრულების შემდგომ დროულად მოხდება და თითოეულ სტუდენტს მიეცემა საშუალება, თუნდაც მოგვიანებით დაუბრუნდეს მის მიერ არჩეულ უნივერსიტეტს.

**-იყო გარკვეული საუბარი პოლიტიკურ ნიშნებზე ამ პროცესში. ამ ნაწილს სრულად გამორიცხავთ?**

-რამდენადაც ავტორიზაციის პროცესი ეხება ყველა უნივერსიტეტს და ჩვენ ვნახეთ, რომ არაერთ უნივერსიტეტს შეეხო ავტორიზაციის საბჭოს საკმაოდ მკაცრი გადაწყვეტილება, ამ პროცესში აბსოლუტრად გამოვრიცხავ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს.

# 50 წელი – მუსიკის სამყაროში!



*ძვირფასო მკითხველო, დღეს კიდევ ერთი იუბილარი მინდა გაგაცნოთ. არ დაიჯერებთ, მაგრამ დედოფლისწყაროს სამუსიკო სკოლის ღვაწლმოსილ პედაგოგს, რომელიც 50 წელია, დაუღალავად ემსახურება ბავშვთა მუსიკალური აღზრდის საქმეს, დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა. ის დღეს ჩვენი სტუმარია.*

*დაიბადა 1948 წლის 3 სექტემბერს. მამა იოსებ ყოჩიაშვილი ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი იყო, დედა კი - თამარ ბაცაცაშვილი, სკოლა-ინტერნატის დაწყებითი კლასების პედაგოგი. უფროსი დამის შემდეგ ნაბოლარა ქალიშვილს ყველა ანებივრებდა. მუსიკალური ნიჭი მამისგან დაჰყვა, რომელიც შესანიშნავად მღეროდა ქართულ ხალხურ სიმღერებს.*

**- ქალბატონო მადლენა, როგორ დაიწყო თქვენი შეხება მუსიკასთან?**

- 1956 წელს წითელწყაროში მუსიკის სკოლა გაიხსნა. 8 წლის ვიყავ და გადაწყდა, მესწავლა ამ სკოლაში. მისაღები გამოცდისთვის მამიდამ აფროამერიკული სიმღერა მასწავლა. როცა ინგლისურ ენაზე დავიწყე სიმღერა, გამომცდელს გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა. მე ჩავთვალე, რომ ძალიან მოეწონა და უფრო გავთამამდი. მერე კი მივხვდი, რომ მას ძალიან გაუკვირდა მიყრუებულ რაიონში კახური აქცენტით ინგლისურად რომ ვმღეროდი თითისტოლა გოგო. ჩემი პირველი მასწავლებელი ზოია ანდრეევნა იყო, მკაცრი და მომთხოვნი რუსის ქალი. კარგად ვსწავლობდი, მაგრამ მესამე კლასში რომ მივედი, არც ერთი თანაკლასელი აღარ დამხვდა. მეც გადავწყვიტე, მიმეტოვებინა მუსიკა. ორი კვირა ვაცდენდი. ერთხელაც ჩემი მასწავლებელი ქუჩაში შემხვდა და მკაცრად მკითხა: რატომ არ დადიხარ სკოლაშიო? მე შემეშინდა და ვიცრუე: - ბებია გარდამეცვალა-მეთქი. თავზე თანაგრძნობით დამადო ხელი და მითხრა, მეტი აღარ გააცდინოო. ინტენსიურად დავიწყე მეცადინეობა, მაგრამ ტყუილი არ შემრჩა. მე და დედა ბაზრიდან მოვდიოდით. ზოია ანდრევნა წინ შეგვხვდა და დედას მობოდიშებით მიუსამძიმრა, გვიან გავიგე დედათქვენის გარდაცვალებაო. დედა გაოცდა, 23 წელია, დედა აღარ მყავსო. ალბათ, შემეშალაო, თქვა ზოია მასწავლებელმა, მრავალმნიშვნელოვნად გადმომხედა და გაგვშორდა. მან დამინდო, მე კი ძალიან შემრცხვა და მას მერე გაკვეთილი აღარ გამიცდენია. 4 წელი მასწავლიდა, და როცა საცხოვრებლად სხვაგან გადავიდა, გული ძალიან დამწყდა. ისე შემიყვარდა მუსიკა, რომ ვიდრე ოჯახში პიანინოს ვიყიდიდით, სამი ქუჩის იქეთ ბიკაშვილებთან დავდიოდი სამეცადინოდ. მერე ფორტეპიანოს კლეოპატრა გეგელაშვილი მასწავლიდა, თეორიას კი მერი რუაძე. ბოლო წელს მოვიდა ახალგაზრდა მასწავლებელი ლია ცოფურიშვილი, რომელიც შემდგომ, ათეული წლები, წარმატებით ხელმძღვანელობდა მუსიკალურ სკოლას და რომელიც ჩემს ეტალონად იქცა, როგორც დირექტორი, როგორც ქალი, როგორც დედა და ადამიანი. ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს. დავამთავრე სამუსიკო სკოლის შვიდწლედი და მე ვიყავ ამ სკოლის პირველი გამოშვება.

**- როგორ აირჩიეთ სპეციალობა?**

- მე იურისტობაზე ვოცნებობდი, მოსამართლე მინდოდა გავმხდარიყავი. მამამ მირჩია, იურისტობა ქალისთვის მძიმე საქმეა, მოდი ჯერ მუსიკალურზე ჩააბარე, მერე თუ მოგინდება, იურდიულზეც ისწავლეო. დავუჯერე და არც ვნანობ. ჩემი სპეციალობით ძალიან ბედნიერი ვარ. თელავში მუსიკალურ ტექნიკუმში ჩავაბარე. ბევრი სასიამოვნო და ტკბილი მოგონება უკავშირდება სტუდენტობის წლებს, ლაღად და საინტერესოდ ვატარებდით დღეებს. ტექნიკუმი 1966 წელს დავამთავრე.

- 1967 წელს წითელწყაროს მუნიციპალურ სკოლაში დავიწყე ფორტეპიანოს პედაგოგად მუშაობა. დირექტორი ეკატერინე ცირეკიძე გახლდათ. იმ დროს არბოშიკის ზონაში მუსიკალური სკოლა არ იყო. ამიტომ, სპეცავტობუსით დავდიოდით კვირაში ორი დღე და გაკვეთილებს ვატარებდით. 2 წელიც ქედების ზონაში ვიმუშავე პარალელურად. 50 წელია, ამ დარგს ვემსახურები; კარგი დროც მახსოვს, როცა სკოლაში 400-450 ბავშვი სწავლობდა და ჩვენი ხელფასი 300-400 მანეთს შეადგენდა. (**ცნობისთვის**: მაშინ დოლარი 0,80 კაპიკი ღირდა) მერე გაუსაძლისი 90-იანი წლები - სიცივე, უშუქობა... 12 ლარი ხელფასი... დღეს მუსიკალურ სკოლებში (ზონების ჩათვლით) ასამდე მოსწავლეა. მაგრამ ჩვენ თავდაუზოგავად ვშრომობთ, ჩვენი სკოლის მოსწავლეები ოლიმპიადებსა და კონკურსებზე დიდ შედეგებს აღწევენ. რაიონის ხელმძღვანელობაც უყურადღებოდ არ გვტოვებს, ცდილობს, სამუშაო პირობები გაგვიუმჯობესოს. ჩვენ კი, ჩვენის მხრიდან, სისტემატურად ვღებულობთ მონაწილეობას რაიონულ ღონისძიებებში.

**- 50 წელი დიდი დროა. ალბათ, ბევრი გამორჩეული ბავშვი გეყოლებათ გაზრდილი და მადლიერიც ბევრი იქნება!**

- რა თქმა უნდა, ჩემი ბავშვები ხშირად დაბრუნებულან რეგიონული თუ რესპუბლიკური კონკურსებიდან დიპლომებით, მაგალითად გასულ წელს თელავში გამართულ კონკურსზე ორმა მოსწავლემ მეორე და მესამე ადგილი დაიკავა. გამორჩეულად შემიძლია გავიხსენო თამარ ყოჩიაშვილი, რომელიც სკოლის ისტორიაში ერთადერთი იყო, ვინც გაბედა და ბეთჰოვენის „კონცერტი" დაუკრა. ამას დედაქალაქის სკოლის მოსწავლეებიც ვერ ეჭიდებიან. სხვაც ბევრი საუკეთესო მოსწავლე მყავდა, მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, არ მინდა, ვინმე გამომრჩეს და გული ვატკინო, თუმცა, არ შემიძლია არ აღვნიშნო რეზო ქადაგიშვილის ფენომენის შესახებ. ის სამუსიკო სკოლის პირველ კლასში, ფორტეპიანოს განხრით, გასულ წელს 15 წლის ასაკში შემოვიდა. იმდენი ვიმუშავეთ, რომ მან 8 თვეში დაძლია 3 კლასის პროგრამა და საგამოცდო კომისიამ პირდაპირ IV კლასში გადაიყვანა, ეს იშვიათობაა. სამი წელი ვასწავლიდი გიო ბოსტაშვილს. შემდეგ მისი ოჯახი ამერიკაში წავიდა. 3 წლის შემდეგ, ამასწინათ, ჩამოვიდა, სახლში მომაკითხა, მომეფერა და საჩუქრად გადმომცა თავისუფლების ქანდაკება, რომელსაც აქვს საათი. „მადლენა მასწავლებელო, როდესაც ამ საათს შეხედავთ, ყოველთვის გაგახსენდებითო", -მითხრა და მართლაც ასეა. მასწავლებლის ბედნიერება ის არის, წლების მერეც სიყვარულით რომ მოგიკითხავს ნამოწაფარი. ეს ბედნიერება არ მაკლია, მაგრამ იშვიათად ისეთებიც არიან, შორიდან თავის დაქნევით რომ მოგესალმებიან და უცხოსავით ჩაგივლიან. გული მწყდება, ნუთუ 7 წელში ვერაფერი ვასწავლე, უმადურობაც ხომ ცოდვაა და ნაკლი ადამიანისთვის. წლები გავიდა, ხელში შემომადნა ჩემი ახალგაზრდობა, ნახევარი საუკუნე ვემსახურე ამ კეთილშობილურ და ფაქიზ საქმეს. მე ასე ვთვლი, და უკან მოხედვის არ მრცხვენია, რადგან სიყვარულით და ერთგულად ვაკეთე ჩემი საკეთებელი. მადლობელი ვარ, რომ სკოლის ადმინისტრაციამ დადებითად შეაფასა ჩემი შრომა და სკოლის დირექტორის, დალი ელისაშვილის, ინიციატივით „მადლობის ფურცლით" დამაჯილდოვა. მიყვარს ჩემი სამსახური და მათგანაც ვგრძნობ სამაგიეროს.

**- ქალბატონო მადლენა, ცოტა რამ თქვენი ოჯახის შესახებაც ვუთხრათ მკითხველს...**

- როდესაც ქედში ვმუშაობდი, ბევრი თაყვანისმცემელი გამომიჩნდა, მაგრამ არ მინდოდა იქ გათხოვება, თითქმის ამ მიზეზით დავანებე თავი იმ სამსახურს, მაგრამ ჩავთვალოთ, რომ ბედის ირონიით მაინც ქედელ ბიჭს გავყევი ცოლად და ერთი წელი ქედშიც ვცხოვრობდი. თუმცა, ბედს არ ვემდური, ჩემი მეუღლე, დემურ აფციაური, პროფესიით ზოოტექნიკოსი გახლდათ, ძალიან განათლებული, ნიჭიერი და კეთილშობილი ადამიანი იყო. ბედნიერი წლები გავატარეთ ერთად. მან ორი შესანიშნავი ქალიშვილი - ეკა და მაკა მაჩუქა. ჩემს შვილებთან ერთად გავზარდე მაზლისშვილიც. ჩემი მაზლი მოსკოვში ცხოვრობდა, ადრე გარდაიცვალა. არჩილი მაშინ სამი წლის იყო. 15 წლამდე ის ყოველ ზაფხულს ჩამოგვყავდა, რომ ქართული სულით და ტრადიციებით გაგვემდიდრებინა და გაგვემყარებინა მისი გენეტიკა. ის, ჩემს ქალიშვილებთან ერთად დღესაც დედას მეძახის და მე ეს ძალიან მეამაყება. ჩემი უფროსი ქალიშვილი ეკა 10 წელი მოსკოვში ცხოვრობდა, იქ მიიღო იურიდიული განათლება, მაგრამ 2004 წელს ჩემი მეუღლე გარდაიცვალა, ეკაც იძულებული გახდა, ყველაფერი დაეთმო და დაბრუნებულიყო, რადგან ძალიან გამიჭირდა სიმარტოვე, დემურის დაკარგვამ სერიოზული სულიერი ტრავმა მომაყენა. მეორე ქალიშვილი მაკა წლებია უკვე ამერიკაში ცხოვრობს, იქედან ყველანაირად გვეხმარება და გვილამაზებს ცხოვრებას. არჩილი ისევ მოსკოვშია, შეძლებისდაგვარად გვსტუმრობს ხოლმე, ისინი, სამივე, ჩემი ცხოვრების აზრია, მათთვის ვცოცხლობ, ნეტავ ყველას ყავდეს ისეთი კარგი შვილები, როგორიც მე მყავს. მხოლოდ ერთ რამეზე მწყდება გული, ისინი არ არიან დაოჯახებულები და მე შვილიშვილების ნატრული ვარ. ბედი ბედია, მაგრამ, მინდა, ჩემს შვილებს საჯაროდ ვთხოვო:- იფიქრონ ამაზე!

***3 სექტემბერს შვილებმა ქალბატონ მადლენას იუბილე გადაუხადეს. ხელოვნების სკოლის პედკოლექტივმა, ახლობლებმა, მეგობრებმა, თანაკლასელებმა, მეზობლებმა ერთად მოიყარეს თავი და გულწრფელი სიყვარულით მიულოცეს 70 წლისთავი. დიდხანს სიცოცხლე, ჯანმრთელობა, სურვილების ასრულება და მხნეობა უსურვეს მას. ჩვენი გაზეთის რედაქციაც უერთდება ამ მილოცვას და წარმატებებს უსურვებს სამსახურსა და პირად ცხოვრებაში.***

ნაირა გორაშვილი

## მადლიერებით სავსე სტრიქონები

ქალბატონი მადლენა, უკვე რამდენიმე ათეული წელია , რაც დაუღალა ვად ემსახურება მუსიკალური სკოლისა და ახლა უკვე ხელოვნების სკოლის აღსაზრდელებს. მან არაერთი თაობა გაზარდა და აზიარა კლასიკური მუსიკის ხელოვნებას.იგი დღესაც კეთილსინდისიერად და დიდი სიყვარულით ემსახურება საყვარელ საქმეს. აღფრთოვანებული ვარ მისი ასეთი შემართებით და დიდი სიყვარულით მინდა ვუსურვო ყოველივე კარგი, როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე სამსახურებრივად. მინდა, ვუსურვო გახარება შვილებით და ყველა იმ გარშემომყოფით, ვინც მის გულს ასე ახარებს.

**გილოცავთ იუბილეს პედკოლექტივის და ყველა თანამშრომელის სახელით.**
ლია ხაჩიაშვილი,
**დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის სამუსიკო განყოფილების უფროსი.**

მადლენა მასწავლებელი ჩემი შვილის, რევაზ ქადაგიშვილის ფორტეპიანოს პედაგოგია. მუსიკისადმი ინტერესი ჩემმა შვილმა გარდატეხის ასაკში გამოიჩინა. გამოგიტყდებით, თავდაპირველად, ეს მის დროებით გატაცებად ჩავთვალე. გამიხარდა, როცა მითხრეს, მადლენა მასწავლებელთან მოხვდითო. ისედაც დადებითად ვიყავი განწყობილი ამ პიროვნების მიმართ და ერთი წლის დაუღალავი შრომის შედეგად კი დავრწმუნდი, რომ იგი თავის საქმის უბადლო მცოდნეა. მან არა მარტო შეასწავლა, არამედ კლასიკისადმი ღრმა ინტერესი გაუჩინა რევაზს, რაც უდაოდ მასწავლებლის დიდი დამსახურებაა. ეს ხაზს უსვამს მის მაღალ პედაგოგიურ ნიჭს, მან სწორად იცის მოწაფეს როგორ მიუდგეს. მე მადლენა მასწავლებელში დავინახე დიდი სიყვარული თავისი პროფესიის მიმართ, ვნახე როგორ ხარობდა მოსწავლის წარმატებით. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით, ჩემი და ჩემი შვილის სახელით მადლობა გადავუხადო მადლენა მასწავლებელს თავდაუზოგავი შრომისათვის. მინდა ვუსურვო წარმატებები პირად ცხოვრებასა და პროფესიულ საქმიანობაში, ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე.

**დიდი სიყვარულით და პატივისცემით,**
**რევაზ ქადაგიშვილის მშობელი** - მაია თამაზაშვილი.

სამი წლის მერე ჩამოვედი ამერიკიდან და ჩემი მადლენა მასწავლებელი ისევ ისეთი ლამაზი და ხალისიანი დამხვდა. ის იყო ჩემი მუსიკის პირველი მასწავლებელი, რომელმაც შემაყვარა მუსიკა და სრულიად ხელოვნება. მინდა, მივულოცო ჩემს უსაყვარლეს მასწავლებელს იუბილე, ვუსურვო ჯანმრთელობა და მხნეობა, რათა კიდევ ბევრს შეასწავლოს და შეაყვაროს კლასიკური მუსიკა.

**ყოფილი მოსწავლე** გიორგი ბოსტაშვილი.

ჩემო მადლენა, შენთან დაკავშირებით მოგონებები არ მთავრდება. მიუხედავად იმისა, რომ ერთ სკოლაში დავდიოდით და ვიცნობდით ერთმანეთს, ჩვენი მეგობრობა დაიწყო 1967-68 სასწავლო წელს, როდესაც ერთად შევაბიჯეთ სამუსიკო სკოლის შენობაში, როგორც პედაგოგებმა. აი, ამ ხელოვნების ტაძრიდან დაიწყო ჩვენი მეგობრობა და დღესაც გრძელდება. შენთან მეგობრობა იყო იმდენად თბილი, კეთილი და სამართლიანი, რომ ჩემს საკუთარ დასავით მიყვარდი და მიყვარხარ. მადლენა, შენ ყოველთვის იყავი მაგალითის მიმცემი სკოლაშიც, როგორც პედაგოგი, საუკეთესო შვილების დედა, მეუღლე და ადამიანი. დღესაც ოჯახის ბურჯი და მხნე ხარ, თამამად ვიტყვი, რომ არსად არაფერი არ გეშლება. გილოცავ იუბილეს, გისურვებ მხნეობას, ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. მიყვარხარ ძალიან.

**შენი მეგობარი** ციცინო ონანაშვილი - **ამერიკიდან.**

ქალბატონ მადლენასთან დიდი ხანია, ვმეგობრობ. ჩვენი შვილები ერთ კლასში სწავლობდნენ. მას მერე დავმეგობრდით და წლებია, ასე გრძელდება. ქალბატონი მადლენა არის საუკეთესო დედა და მეგობარი, კარგი შვილების აღმზრდელი. იგი წლებია ემსახურება ჩვენი მუნიციპალიტეტის მოაწავლე-ახალგაზრდობის მუსიკალურ განათლებას. არის საუკეთესო პედაგოგი, რომელმაც უამრავი წარმატებული მოსწავლე აღზარდა. მისი პროფესიონალიზმი და გამოცდილება სჭირდება ჩვენს რაიონს. მინდა, მივულოცო იუბილე, ვუსურვო ჯანმრთელობა, დიდხანს სიცოცხლე და წარმატება პროფესიულ საქმიანობაში.

ეთერ დავითაშვილი – **დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი.**

პირველად მუსიკალურ სკოლაში რომ შვედი და მადლენა მასწავლებელი გავიცანი, ასე მეგონა, რაც თავი მახსოვს, ვიცნობდი-მეთქი. საკუთარი შვილივით მიმიღო და ამისთვის მადლობას ვუხდი, რასაც კი მივაღწიე, ქალბატონ მადლენა ყოჩიაშვილს დიდი წვლილი მიუძღვის, ამისთვის დიდ მადლობას ვუხდი. ამიტომაც, ყოველთვის, როცა ჩამოვდივარ დედოფლისწყაროში, თავს იმის უფლებას ვერ მივცემ, რომ არ ვნახო. ძალიან მიყვარხართ, მადლენა მასწავლებელო, საკუთარ დედასავით. მრავალ იუბილეს დაგასწროთ ღმერთმა, მეამაყებით!

**თქვენი მოსწავლე,** გიორგი ელიზბარაშვილი.

ქალბატონი მადლენა ყოჩიაშვილი, იგივე მადლენა მასწავლებელი, ჩემთვის იგივე მადლენა დეიდა, ჩემი ბავშვობის ღრმა წარსულიდან მოდის, რადგან ჩემმა ბავშვობამ ჩემს დედიკოსთან ციცინო ონანაშვილთან ერთად მის თვალწინაც გაირბინა სამუსიკო სკოლის კედლებში, როდესაც დილიდან საღამომდე დაუღალავად აზიარებდნენ თაობებს მუსიკას. ქალბატონი მადლენა ყოჩიაშვილის ხსენებაზე გულში ყოველთვის დიდი სითბო და სიყვარული მეღვრება. იგი საოცარი კომუნიკაბელურობით გამოირჩევა, დიდთან დიდია და პატარასთან – პატარა. ალბათ, ამ თვისებებმაც განაპირობა, რომ ვისაც ამ ადამიანთან ურთიერთობა ჰქონია, ყველა ღრმა პატივისცემითა და სიყვარულით იმსჭვალება მის მიმართ. როდესაც ჩემმა უმცროსმა შვილმა სურვილი გამოთქვა დაგვიანებით შესულიყო სამუსიკო სკოლაში და ფორტეპიანოზე დაკვრა ესწავლა, უყოყმანოდ მივაბარე ის ჩვენს საყვარელ მადლენა მასწავლებელს და მჯეროდა, რომ სასწაულს მოახდენდა. მან უმოკლეს დროში შერასწავლა ჩემს შვილს დაკვრა ისე, რომ ჩვენს სახლში პიანინო არ გაჟღერებულა და კონცერტზეც კი გაიყვანეს, მხოლოდ სამუსიკო სკოლის საკლასო ოთახში საუკეთესოდ შესწავლილი ნაწარმოებით. აი, ასეთი თავდაუზოგავი და შრომისმოყვარე ბრძანდება ჩვენი მადლენა მასწავლებელი, მინდა მივულოცო იუბილე, ვუსურვო ჯანმრთელობა და ულევი ბედნიერება მას და მის ოჯახს!!

**პატივისცემით,** ლალი იაკობიშვილი.

მუსიკალურ სკოლაში რომ შევედი, ჩემმა მშობლებმა არჩევანი მადლენა მასწავლებელზე შეაჩერეს, რადგან ჩემს დასაც ასწავლიდა. კარგად მახსოვს ის დღე, როდესაც პირველად სამუშაო ოთახში შევედი. სუნამოს ისეთი სასიამოვნო სურნელი იდგა, დღემდე რომ არ მავიწყდება. ამას დაერთო მისი საოცრად ლამაზი, ჟღერადი ხმა და სასიამოვნო გარეგნობა. მოვიხიბლე მისი პირველი ნახვით. მადლენა მასწავლებელი საკმაოდ მკაცრი პედაგოგი აღმოჩნდა. განსაკუთრებით არ უყვარდა, როცა თითი შემეშლებოდა (მწარედ მახსოვს მისი გაბრაზება), მაგრამ მიყვარდა და არ ვიმახსოვრებდი. შემდეგ გამომიცვალეს პედაგოგი, მეც ცოტა გავზარმაცდი, ვცუღლუტობდი, მაგრამ მაინც დავამთავრე შვიდწლედი. ახლა ვფიქრობ, თურმე რამდენი წელი გასულა. ჩვენს შორის თითქოს შემცირდა ასაკობრივი სხვაობა, მაგრამ ისევ ისეთი ლამაზია ჩემი მადლენა მასწავლებელი ისევ ისეთი ჟღერადი ხმით. ვულოცავ მას იუბილეს. კიდევ მრავალი ბედნიერი წელი შემატოს ღმერთმა, გაიხაროს შვილების ბედნიერბითა და წარმატებებით.

**პატივისცემით,** მაია ბოსტაშვილი **კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის სპეციალისტი**.

..,რა დრო გასულა... არადა, თითქოს გუშინ იყო, მშობლების დიდი სურვილით მუსიკაზე რომ მივედი... თავდაპირველად იყო მოწონება... ფორტეპიანოზე გადავირიე. მინდოდა, ჩემს თითებსაც გადმოეცათ ჯადოსნური მელოდიები... მერე თქვენ მომეწონეთ, გემოვნებიანი, მომხიბვლელი, ახალგაზრდა, ლამაზი... მიკვირდა, როგორ იმორჩილებდით კლავიშებს და როგორ მინდოდა თქვენნარად მცოდნოდა დაკვრა. გავიდა დრო...ჩემგან მუსიკოსი არ გამოვიდა..(ცხადია სიზარმაცემ დამრია ხელი)...მაგრამ კარგი მსმენელი დადგა, ვისწავლე კარგი და ცუდი, გემოვნებიანი და უგემოვნო მუსიკის გარჩევა ჟრუანტელი მივლის, როდესაც გენიოსების მიერ დაწერილ ჰანგებს ვისმენ და ვხვდები, რომ ეს წარსულის გამოძახილია.. რომ ეს, თქვენს მიერ ჩემს ცნობიერებაში ჩაგდებული მარცვალი აღმოცენდა და გაღვივდა და ამას მუსიკის სიყვარული ჰქვია... ამისთვის უდიდესი მადლობა თქვენ, მადლენა მასწავლებელო!!! დიდი სიყვარულით გილოცავთ იუბილეს, მზეგრძელობას და ძალიან დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ!

ცარო მარტიაშვილი, **დედოფლისყაროს კულტურის სახლის დირექტორი.**

-არასოდეს დამავიწყდება დღე, როცა დედამ ხელოვნების სკოლაში შემიყვანა. პირველივე დღეს აღფრთოვანებული წამოვედი... სახალისო გამოცანებითა და ფერად-ფერადი ნოტებით ჩატარებულმა პირველმა გაკვეთილმა კარგ ხასიათზე დამაყენა და მას მერე, სიხარულით მივიჩქარი ჩემი სამეცადინო ოთახისკენ,რომლის კარებზე აწერია: პედაგოგი მადლენა ყოჩიაშვილი. სწორედ მადლენა მასწავლებლის დამსახურებაა ჩემი სიხალისეც და სიყვარულიც მუსიკალური ხელოვნებისადმი. მახსენდება, როგორ მამხნევებდა ჩემი მადლენა მასწავლებელი ყოველი გამოცდის წინ, როგორ მითბობდა ნერვიულობისგან გაყინულ ხელებს და როგორ მიჭერდა მხარს ჩემი შეფასებისას. სხვათა შორის, ის მარტო ჩემი პედაგოგი არაა. ის ჩემი მესაიდუმლეა, რომელსაც პირველს გავუმხილე ჩემი სიყვარულის ამბავი. მე მისგან დიდ ნდობასა და მხარდაჭერას ვგრძნობ. მინდა, მივულოცო 70 წლის იუბილე და ვუსურვო ჰარმონიული ცხოვრება.

თქვენი მოსწავლე, ლანა მენთეშაშვილი

# სათამაშო, რომელიც ჯანმრთელობას ვნებს...

## როდის ამოქმედდება სათამაშოების უსაფრთხოებაზე კანონი და რა სანქციები დაეკისრებათ სახიფათო პროდუქციის რეალიზატორებს?

**სათამაშოების ბაზარი ისევ უკონტროლოა. თუმცა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების თანახმად, სათამაშოების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობა ევროპისას უნდა დაუახლოვდეს.**

**როდის ამოქმედდება დადგენილება და რა მექანიზნით მოხდება სათამაშოების შემოწმება, ამ და სხვა საკითხებზე ეკონომიკის სამინისტროს ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოადგილე რატი ობოლაძე საუბრობს.**

როგორც ობოლაძე აღნიშნავს, უწყებას საკითხზე მუშაობა უკვე დაწყებული აქვს და 2019 წლის ბოლოს დასრულება. თუმცა, ამოქმედდება თუ არა დადგენილება იმავე წელს, არ იცის, რადგან ეს მთავრობის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული.

ამასთან, უკვე გაწერილია იმ ჯარიმების ოდენობა, რომელიც ჯანმრთელობისთვის საშიში სათამაშოების რეალიზატორებს დაეკისრებათ იმ შემთხვევაში, თუ სახიფათო ნაწარმს არ გაანადგურებენ, ან ბაზრიდან არ ამოიღებენ.

აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველი ჯერ კიდევ გასული წლის მარტში აცხადებდა, რომ საქართველოს ბაზარზე არსებული სათამაშოები არასრულწლოვანთა ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის. ამასთან, ***„სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის" მიერ ჩატარებული კვლევით გაირკვა, რომ საქართველოში შეძენილი 10 სათამაშოდან 9-ში მავნე ნივთიერებაა.***

***კონკრეტულად, თუ რას ითვალისწინებს ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება, პროდუქტის უსაფრთხოების ზოგადი დირექტივა ასეთია:***

***„წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დანიშნონ კომპეტენტური პირები ან შექმნან კომპეტენტური ორგანო, რომელიც მონიტორინგს გაუწევს პროდუქტის უსაფრთხოების ზოგად ნორმებთან შესაბამისობას. მათ უნდა მიენიჭოთ სათანადო ძალაუფლება, რათა მიიღონ შესაბამისი ზომები, რომლებიც ამ დირექტივით არის განსაზღვრული. ნებისმიერი სახიფათო პროდუქტის შემთხვევაში: უნდა აიკრძალოს მისი რეკლამა და დაადგინონ წესები აკრძალვის უზრუნველსაყოფად.***

ნებისმიერი საშიში პროდუქტის შემთხვევაში, რომელიც უკვე ბაზარზეა, შესაბამისმა ორგანომ უნდა მოითხოვოს მისი დაუყოვნებლივ გატანა და აცნობოს მომხმარებელს არსებული რისკის შესახებ. მწარმოებელსა და დისტრიბუტორთან ერთად გაუწიოს კოორდინაცია ან, თუ საჭიროა, მოახდინოს მყიდველისგან საშიში პროდუქტის უკან გამოთხოვისა და შესაბამის პირობებში განადგურების ორგანიზება",-ამის შესახებ ნათქვამია პროდუქტის უსაფრთხოების ზოგად დირექტივაში.

დირექტივის თანახმადვე, სათამაშოების ხარისხი უნდა იყოს ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისი. სათამაშოს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ინსტრუქცია, ასევე ინფორმაცია უსაფრთხოების შესახებ. ის არ უნდა იწვევდეს გაგუდვას, ასფიქსიას და არ უნდა იყოს აალებადი.

აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით, დირექტივა 2019 წლის 1-ელ სექტემბრამდე უნდა შესრულდეს,



თუმცა ეკონომიკის სამინისტროს ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოადგილე აცხადებს, რომ კანონპროექტი მზად 2019 წელს იქნება, მაგრამ მთავრობა იმავე წელს აამოქმედებს, თუ მომდევნო წელს, მისთვის უცნობია.

**„ვინაიდან ყველაფერი კანონით არ მიიღება, ეს იქნება მთავრობის დადგენილება. ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ერთ-ერთი დანართით გავალისწინებული ვალდებულების მიხედვით, საქართველო 2019 წელს უნდა დაუახლოვდეს სათამაშოების დირექტივას. ამ ვალდეულებას შევასრულებთ თავის დროში. ამას სჭირდება სერიოზული მომზადება. ევროკავშირის წევრები ამ ძალიან მნიშვნიშვნელოვანი რეგულაციის დანერგვისთვის საკმაოდ დიდი ხანი ემზადებოდნენ. ზოგიერთ მათგანს 10 წელიც კი დასჭირდა. საქართველოს ამისთვის არ აქვს ინსტიტუციური გამოცდილება და სჭირდება მრავალი ტრენინგი. ზერელე რეგულირების დაწყების შემთხვევაში მივიღებთ უკუეფექტს და ამით საერთო მაჩვენებლები არ გაუმჯობესდება",-აცხადებს რატი ობოლაძე. მისი თქმით, ამისთვის ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურის ექსპექტორებისთვის 2018 წლის ოქტომბერში დაწყება ტრენინგები, რომელსაც ბრიტანულ-ლიტვური კომპანია ჩაატარებს.**

„ტრენინგები გაგრძელდება 2 წლის განმავლობაში და მოიცავს ზედამხედველობის სიმულაციებს, ასევე, საპილოტე პროექტს. როდესაც ამ ტრენინგით გათვალისწინებული მასალები, საპილოტე პროექტები და სიმულაციები შეჯერდება, საკანონმდებლო დაახლოვებაც მოხდება. შედგება მთავრობის დადგენილების პროექტი, თუმცა 2019 წლის დასრულებისთვის ან მომდევნო წლისთვის დაინერგება",-აცხადებს რატი ობოლაძე.

***რა მექანიზმით მოხდება სათამაშო ბაზრის გაკონტროლება, ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოადგილე ამბობს, რომ ძირითად მექანიზმში იგულისხმება პროდუქციის უსაფრთოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი.***

„ინსტიტუციური მექანიზმი ეს არის ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი. რაც შეეხება ინსტრუმენტალურ მექანიზმებს, ეს არის როგორც უშუალოდ პროდუქციის, ისე მისი დოკუმენტური შემოწმება, ნიმუშების ტესტირება, გამოცდა, რათა დადგინდეს, თუ რა საფრთხეებსა და რისკებს შეიცავს ესა თუ ის პროდუქცია. თუ ქიმიური ან ფიზიკური თვისებების სიღრმისეული ანალიზი დაგვჭირდა, შესაძლოა, გამოვიყენოთ ლაბორატორიები და თუკი დადასტურდა, რომ პროდუქცია შეიცავს ჯანმრთელობისთვის სახიფათო ნივთიერებებს, მოხდება მისი რეალიზაციის შეჩერება, ამოღება, ან რეალიზებული პროდუქციის გამოთხოვა ბაზრიდან. ხოლო, თუ რომელიმე გადაწყვეტილება არ შესრულდა, ეს უკევ იწვევს, დაჯარიმებას, რომლის ოდენობასაც სასამართლო განსაზღვრავს",-აცხადებს რატი ობოლაძე.

რაც შეეხება ჯარიმების ოდენობას, ობოლაძის ინფორმაციით, დარღვევის შესაბამისად 1500-დან 7000 ლარამდე განისაზღვება. კერძოდ:

- ***თუ პროდუქცია გადამუშავების შემთხვევაშიც კი ადამიანის ჯანმრთელობაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს, ტექიკური ზედამხედველობის სააგენტო მისი განაგურების გადაწყვეტილებას იღებს. ხოლო ამის შეუსრულებლობა გამოიწვევს ჯარიმას 7000 ლარის ოდენობით;***
- ***პროდუქციის გამოთხოვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების არ შესრულება გულისხნობს 5000 ლარამდე ჯარიმას;***
- ***პროდუქციის ბაზრიდან ამოღების გადაწყვეტილების შეუსრულებლობა გამოიწვევს ჯარიმას 300 ლარამდე;***
- ***პროდუქციის რეალიზაციის შეჩერებაზე მიღებული გადაწყვეტილების არ შესრულება გულისხმობს 1500 ლარამდე ჯარიმას.***

როგორც რატი ობილაძე აცხადებს, სათამაშოების მონიტრინგს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო აწარმოებს.

# ჰერელი ქართველების პრობლემას აზერბაიჯანი გამოეხმაურა

***ჰერეთში მცხოვრები ქრისტიანების პრობლემებზე საქართველოს პარლამენტში გამართულ შეხვედრაზე გაზეთი „შირაქი" რამდენიმე თვის წინ გიამბობდათ. პარლამენტში ხელისუფლების წარმომადგენლები, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსი დიმიტრი და ჰერელი სტუდენტები იმყოფებოდნენ. მათ მიმდინარე საკითხებზე იმსჯელეს და პრობლემების გადაჭრის გზები დასახეს. იმავე დღეებში თბილისში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებადამცველთა გაერთიანების" თავმჯდომარე აზერბაიჯანის საელჩოში მივიდა და ილჰამ ალიევისა და ელჩის სახელზე წერილობითი მიმართვა შეიტანა. მასში ჰერეთში მცხოვრები ქართველების მძიმე ყოფა იყო ასახული და ხელოვნურად შექმნილ ბარიერებზე იყო საუბარი. საელჩოსთან მცირე საპროტესტო აქციაც გაიმართა.*** პარლამენტში ითქვა, რომ ქართული მხარე ეცდებოდა გიორგობისთვის, (6 მაისისთვის) კახის რაიონში ქართულენოვანი წიგნები ჩაეტანა. ჰერელი ძმების პრობლემებს ბოლო სამი წლის განმავლობაში აქტიურად აშუქებდა ჩვენი გაზეთი „შირაქი" და ტელეკომპანია „ობიექტივი". ჰერეთიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს სამჯერ ვუმასპინძლე პირდაპირ ეთერში. როგორც ჩანს, სხვადასხვა მხრიდან გადადგმულ ნაბიჯებს გარკვეული რეაგირება მოჰყვა. მიმართვის ავტორს საელჩოდან დაუკავშირდნენ და მათთან შეხვედრაზე მიიწვიეს. საელჩოში „უფლებადამცველთა გაერთიანების" თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძეს საქართველოში აზერბაიჯანის ელჩის პირველი თანაშემწე გუგარ მუსტაფაევი შეხვდა. მუსტაფაევმა მჟავანაძეს აზერბაიჯანის სახელმწიფოს ოფიციალური პასუხი და საინგილოს ტაძრებისა და სკოლის ახალი ფოტომასალა გადასცა, მათ შორის, წმინდა გიორგის ტაძრის, წმინდა ნინოს ტაძრის, წმინდა მიხეილის



ეკლესიისა და სხვა მართლმადიდებლური სამლოცველოების ფოტომასალა იყო.

„უფლებადამცველთა გაერთიანებამ" 23 აპრილს აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს მიმართა, რათა დაინტერესებულიყო საინგილოში არსებული პრობლემური საკითხებით. მიმართვაში ნიკოლოზ მჟავანაძე საუბრობდა საინგილოში მცხოვრები ქართველებისთვის შექმნილ პრობლემებზე, იქ არსებული მართლმადიდებლური ტაძრების მდგომარეობაზე, რომ ქართული მართლმადიდებლური ტაძრები ტუალეტებად არის ქცეული, ღვთისმსახურება არ ტარდება. ქართული სკოლები დახურულია. აზერბაიჯანის მოქალაქე ქართველები არ ატარებენ ქართულ გვარ-სახელებს. გადასვლისა და დასაქმების პრობლემებია. ასევე, არ არის კულტურის სახლი. ქართველები იდევნებიან. მაგალითად, ერთ-ერთ პირს ავიწროებდნენ იმის გამო, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო.

ნიკოლოზ მჟავანაძე: „ჩვენმა ორგანიზაციამ ალიევს მიმართა იმის გამო, რა პრობლემებიც აქვს საქართველოს მოსახლეობას საინგილოში. მივიღეთ წერილი აზერბაიჯანის ოფიციალური ხელისუფლებისაგან, სადაც მიმოხილულია ის საკითხები, რომლებიც ჩვენ დავსვით. ამ საკითხებთან დაკავშირებით ილჰამ ალიევმა დაავალა საგარეო საქმეთა სამინისტროს, საკითხი შეესწავლათ და ჩვენთვის ინფორმაცია მოეწოდებინათ. ჩვენ შევხვდით აზერბაიჯანის ელჩის პირველ თანაშემწე გუგარ მუსტაფაევს, რომელმაც განაცხადა, რომ, მართალია, ამ პრობლემების შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს აზერბაიჯანის ხელისუფლებას, მაგრამ კვლავ გააგრძელებენ მუშაობას.

**– ბატონო ნიკა, რა პასუხი აქვს აზერბაიჯანის სახელმწიფოს, აღიარებენ დისკრიმინაციულ მიდგომას ეთნიკურად ქართველების მიმართ?**

– გვიპასუხეს, რომ სკოლების პრობლემები არა მხოლოდ საინგილოშია, არამედ, ზოგადად – აზერბაიჯანში. მიგვანიშნეს, ქართველი ბიზნესმენები შემოვიდნენ, სკოლებიც გააკეთონ და საწარმოებიცო. ამ პასუხმა ჩემი გაკვირვება გამოიწვია. ინფორმაცია მაქვს, რომ ერთ-ერთ ქართველ ბიზნესმენს სურდა, საინგილოში გაეკეთებინა საკონსერვო ქარხანა და პრობლემები შეექმნა. ამაზე მიპასუხეს, რომ ასე ჩვენებსაც ექმნებათ პრობლემები, მაგრამ საკითხი გადაჭრადიაო.

**– შეხვედრაზე თქვენც და დამსწრე ჟურნალისტებსაც გვაჩვენეს საინგილოში ტაძრების ფოტოები. როგორ მდგომარეობაშია ქრისტიანული სალოცავები?**

– ათამდე ტაძრის ფოტო გვაჩვენეს და გვითხრეს, რომ ამ ტაძრებში 5-6 კაცი დადის, მას ვუპასუხე, რომ 5-6 კაცი დადის მაშინ, როცა წირვა არ არის. იმ ტაძრებთან დაკავშირებით, რომლებიც ტუალეტებად არის ქცეული, გამოითქვა პოზიცია, რომ ეს აუცილებლად ექნებათ მხედველობაში და აზერბაიჯანის ხელისუფლება ზომებს მიიღებს. ელჩის პირველ თანაშემწესთან გამოვთქვი სურვილი, როგორც ჩვენი პირველი პირები ჩადიან აზერბაიჯანელებთან ნოვრუზბაირამის მისალოცად, ასევე გიორგობის დღესასწაულის მისალოცად აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი რომ ჩადიოდეს, ერთხელაც არ ჩასულა-მეთქი. ამაზე თანაშემწემ მიპასუხა, აზერბაიჯანის ხელისუფლებას გადავცემთო. ასე რომ, არ გამორიცხა მომავალ გიორგობას ილჰამ ალიევის საინგილოში ჩასვლა ქართველებისთვის გიორგობის მისალოცად. ტაძრებთან დაკავშირებით მიპასუხა, მოსახლეობამ მიმართოს ხელისუფლებას, რათა იქ არსებული ტაძრები დაცვის ქვეშ ავიყვანოთ, როგორც სხვა ტაძრებია აყვანილიო. გუგარ მუსტაფაევმა უარყო ის ინფორმაცია, რომ ზაქათალაში ქართველებს არ აქვთ უფლება, ქართული გვარ- სახელები ატარონ. მგონი თქვა, თვითონ არ გამოთქვამენ სურვილსო. აზერბაიჯანელი ჟურნალისტები თავისუფლად შემოდიან საქართველოში და რასაც უნდათ, იღებენ, მაგრამ ჩვენს ჟურნალისტებს აზერბაიჯანში თავისუფლად გადასვლის უფლებას არ აძლევენ. ამაზე ბატონმა მუსტაფაევმა მიპასუხა, რომ ასე აზერბაიჯანის სახელმწიფოს შიდა რეგულაციების გამო ხდება. ბატონმა მუსტაფაევმა გამოთქვა სურვილი, რომ ერთად ვიმუშაოთ ამ საკითხზე, პრობლემები არის და მათი გადაწყვეტა შეიძლება.

*(დასასრული გვ 7)*




გაზეთ „შირაქის“ რედაქცია დედოფლისწყაროს მრავალწლიან ისტორიას ინახავს. უნიკალური ამბები სხვაგან არსადაა ასე დაცული, ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენს არქივში შემონახული გაზეთის ძველი, გაყვითლებული ფურცლებიდან საინტერესო ამონარიდები კვლავაც შემოგთავაზოთ.

## 1956 WLIS SEQTEMBERI

● ATASAMDE MOSWAVLESA DA MASWAVLEBELS MOUYRIA TAVI WITELWYAROS RUSULI SASUALO SKOLIS EZOSI. SASWAVLO WELI GAXSNA SKOLIS DIREQTORMA, S. IVANIZEM. SKOLAM WELS PIRVEL KLASSI 150 MOSWAVLE MIIRO.

● SAZEIMO VITAREBA IYO SOFEL JAFARIZIS SVIDWLIANI SKOLIS EZOSIC. LOZUNGEBIT DAMSVENEBULI SENOBA BAVSVEBS MOUTMENLAD ELODA. MITINGI GAXSNA SKOLIS PARTIULI ORGANIZACIIS MDIVANMA PLATON FIROSMANASVILMA, SEMDEG KI SCENA DAUTMO MEXUTEKLASEL, XUTOSAN MOSWAVLES, LIANA ZURASVILS.

● AXALI SASWAVLO WELI DAIWYO. SOFEL ARXILOSKALOS SASUALO SKOLAS, ROMELIC MIMDINARE WLIS DASAWYISSI GAIXSNA AMAVE SOFLIS KIROVIS SAXELOBIS KOLMEURNEOBAM AMJERAD USASYIDLOD GADASCA SAMOTAXIANI SENOBA. ASEVE KOLMEURNEOBAM DAIWYO AXALI SKOLIS MSENEBLOBA, ROMELIC AM WLIS BOLOS DAMTAVRDEBA. GARDA AMISA, KOLMEURNEOBA GVATYOBINEBS, ROM SKOLA MATGAN SACUQRAD MIIREBS VIWROFIRIAN KINO-DANADGARS DA SIDA WVIS ZRAVAS.

● RAIONIS PIONERTA SAXLMA SWAVLIS DAWYEBAMDE EQSKURSIA MOAWYO WITELWYAROS KIRIS QARXANASI. QARXNIS KOLEQTIVMA PIONEREBI GULTBILAD MIIRO DA TEQNOLOGMA DAWVRILEBIT AUXSNA DA DAATVALIEREBINA KIRIS GAMOWVIS PROCESI. PIONEREBMA KI MUSEBS LEQSEBI WAUKITXES.

## 1961 WLIS SEQTEMBERI

● CVENS MOSWAVLE-AXALGAZRDOBAS MAMOBRIV MZRUNVELOBAS AR AKLEBEN MSOBLIURI KOMUNISTURI PARTIA DA SABWOTA MTAVROBA. AMAZE MOWMOBS SKKP PROEQTSI GATVALISWINEBULI GEGMEBI. MARTO WITELWYAROS RAIONSI DREIDAN SAWARMOO SWAVLEBAZE IMECADINEBS EQVSI SASUALO SKOLA. BEVRI ERTCVLIAN SWAVLEBAZE GADADIS, AMITOMAC CVENI BAVSVEBIS LTOLVA DA XALISI SWAVLISAKEN, DRITIDRE UFRO MARAL SAFEXURZE ADIS. EWVI AR ARIS, ROM RAIONIS MSROMELEBTAN ERTAD DID SROMIT WARMATEBEBS MIARWEVEN CVENI SAXELOVANI PEDAGOGEBIC.

● PIONERULI ZAFXULI DAMTAVRDA. MARTO 68 PIONERUL BANAKSI, ROMLEBIC RESPUBLIKIS PROFKAVSIREBMA MOAWYVES, ZAFXULI BEDNIERAD GAATARA MUSEBISA DA MOSAMSAXUREEBIS 36 ATASMA BAVSVMA. PIONERULI BANAKIS SESANISNAVI SENOBEBI ASENDA SAUKETESO KURORTEBZE.

● SOFEL ARXILOSKALOS SKOLASIC SIAMAYIT DAIREKA ZARI. SKOLIS DIREQTORMA GIORGI TOKLIKISVILMA XUTOSAN 35 MOSWAVLES JILDOD WIGNEBI GADASCA. SWAVLA DAIWYO ZEMO QEDIS SKOLASIC, ROMELIC ERTERTI MOWINAVEA RAIONSI. MIS MARADMWVANE DEKORATIUL BARSI SIXARULI CADGA DA DASVENEBULI BAVSVEBI JGUFJGUFAD ERTMANETS ARDADAGEBIS EMOCIEBZE UZIAREBDNEN. SKOLIS DIREQTORMA G. GVRITISVILMA XUTOSAN 54 MOSWAVLES JILDOEBI DA QEBIS SIGELEBI GADASCA.

● ARBOSIKSIC DAIREKA SKOLIS ZARI. 470 MOSWAVLE MIUJDA MERXS DA SWAVLA DAIWYO. WELS SKOLA ERT CVLAZE IMUSAVEBS, XOLO MECXRE KLASI 22 MOSWAVLIT GADAVIDA SAWARMOO SWAVLEBAZE.

## 1976 WLIS SEQTEMBERI

● AXALI SASWAVLO WELI IWYEBA. WITELWYAROS SKOLEBSI KI DAMLAGEBLEBIS UKMARISOBIS PROBLEMA SERIOZULAD DGAS. ASE MAGALITAD, SOFEL GAMARJVEBIS SKOLASI YVELAFERI MZADAA, KLASEBI DAKOMPLEQTEBULIA, KONTINGENTI GANSAZRVRULIA, TUMCA IYO DA KVLAVAC PROBLEMAD RCEBA DAMLAGEBLEBIS UKMARISOBA, RAC ZEGAVLENAS AXDENS SKOLASI SANITARULI WESRIGIS DAMYAREBAZE. ROGORC CANS AQAC SEFEBMA UNDA GAUWODON SKOLAS DAXMAREBIS XELI, TOREM SKOLA UDAMLAGEBLOD? _ ES DREVANDELOBASI UKVE METAD ARASASIAMOVNO FAQTIA. SKOLIS EZOSI ROM GAMOVEDIT, NICAB-COCXIANI MOSWAVLETA SIMRAVLE TVALSISACEMI IYO. MATTAN GASAUBREBA GANVIZRAXET, MAGRAM MATI SAQMIANOBA ISEDAC METYVELEBDA, ROM SKOLIS AM PATARA MKVIDRT ISEDAC SAKUTAR TAVZE METAD UYVART AQAUROBA DA MATI MSOBLIURI BUDIS TITOEULI KUTXE-KUNWULI. AMITOMAC TAVDAUZOGAVAD ZRUNAVEN MIS SISUFTAVEZE, RATA MOMZADEBULI DA GAKRIALEBULI DAXVDES AXAL SASWAVLO WELS, ISE ROGORC DILIS PIRMCINAR MZES CVENI KEKLUCI MAMULI EGEBEBA YOVEL GARIJRAJZE.

● SUBLNATELI, KOPWIA, MORIMARI DA DAMSVENEBULI XVDEBA AXALI SASWAVLO WLIS DAWYEBAS AXLA UKVE REKONSTRUQCIAQMNILI QALAQ WITELWYAROS SAMUSIKO SKOLA. SKOLIS FARTO DA NATELI OTAXEBIS MYUDROEBAS AMIERIDAN MUSIKIS ANBANS DAWAFEBULI BAVSVEBIS NAZI TITEBIT AJREREBULI HANGEBI DAARRVEVS. AXMIANDEBA SKOLA DA NIWIEREBIS SAMSAXURSI CADGEBA. ASE ROM, BEJITI SWAVLITA DA DAURALAVI SROMIT VUPASUXOT PARTIIS ZRUNVAS!..




● SOFEL ZEMO MACXAANSI 1 SEQTEMBERS SWAVLA DAIWYO 502-MA MOSWAVLEM. BAVSVEBIS KOMUNISTURI SULISKVETEBIT ARZRDAS EMSAXUREBA 47 MASWAVLEBELI, AQEDAN 43 UMARLESI GANATLEBITAA. KVALIFIKACIIS ASAMARLEBLAD IMYOFEBODA 5 MATGANI. ZEMO MACXAANIS SKOLIS MOSWAVLEEBS ARDADAGEBI UQMAD AR GAUTAREBIAT. MAT AQTIURI MONAWILEOBA MIIRES MSOBLIURI SOFLIS KOLMEURNEOBIS SROMIT SAQMIANOBASI. MATI GARJIT CADEBULIA 1 500 TONA SILOSI DA DAMUSAVDA 80 HEQTARZE METI VENAXI. AMAS GARDA, SKOLIS REMONTZE KARGAD IMUSAVES MOSWAVLEEBMA NUGZAR YOCIASVILMA, VAXTANG LEKASVILMA, GELA NATROSVILMA, GIA NASRASVILMA, GIA BOSTORANASVILMA DA SXVEBMA.

## 1973 WLIS SEQTEMBERI

● BEVRI SIAXLIT IWYEBA 1973-74 SASWAVLO WELI CVENS RAIONSI. EQSPLOATACIASI GAESVA QALAQ WITELWYAROS # 2 SASUALO SKOLIS AXALI SENOBA. SEZENILIA AXALI INVENTARI, LABORATORIEBI, SKOLA DAKOMPLEQTDA KVALIFICIURI PEDAGOGEBIT.

(STILI DACULIA)

**მოამზადა**
ილია მარტყოფლიშვილმა

# ჰერელი ქართველების პრობლემას აზერბაიჯანი გამოეხმაურა

*(მეექვსე გვერდიდან)*

**– ანუ, ფიქრობთ, რომ პრობლემა პრეზიდენტ ალიევამდე მივიდა და კმაყოფილი ხართ შეხვედრით?**

– აზერბაიჯანის პრეზიდენტი შეწუხდა და იქ საკითხის მოკვლევა დაავალა. ამიტომ იმედს გამოვთქვამ, არსებული პრობლემური საკითხები აღმოიფხვრება. ჩვენ არც საგარეო საქმეთა სამინისტრო ვართ და არც რომელიმე სხვა სახელმწიფო უწყება, რომ პირდაპირი კონტაქტი გვქონოდა. „უფლებადამცველთა გაერთიანება“ არასამთავრობო ორგანიზაციაა და მიხარია, რომ ჩვენს ინიციატივას გამოეხმაურნენ, რაც დადებითი წვლილი იქნება ქართულ-აზერბაიჯანულ ურთიერთობებში. რა პირობებშიც არიან აქ აზერბაიჯანელები, იმავე პირობებში უნდა იყვნენ ქართველებიც საინგილოში. ბატონმა მუსტაფაევმა განაცხადა, ჩვენ საქართველოში მეჩეთებს თქვენთვის ვაკეთებთ, აქედან მეჩეთები ხომ არ მიგვაქვსო. არც ჩვენ მოგვაქვს ეკლესიები საინგილოდან. კარგი იქნება, თუ მოუვლით-მეთქი.

***– როგორც ვიცი, უპასუხოდ დარჩა ბევრი პრობლემა...***

– ბევრი საკითხი, რომელიც დავაყენეთ, ამ პასუხში არ არის განხილული, მაგრამ საბოლოო ჯამში, უშუალოდ ეს პასუხი დადებითია, რადგან გამოითქვა სურვილი, რომ პრობლემებზე იმუშავებენ. გვითხრეს, რომ ჩვენ ვართ მეგობრული სახელმწიფოები, ჩვენ შორის ძმური კავშირია და პრობლემების გადაჭრას წინ ვერაფერი დაუდგება. თავადაც აღიარეს, რომ მართლაც არსებობს გარკვეული პრობლემები, მაგრამ ზოგიერთი პრობლემა, მაგალითად, ზაქათალაში ქართველებს უფლება რომ არ აქვთ, ქართული გვარ-სახელი ატარონ, ეს უარყვეს. ბაბაშვილთან დაკავშირებით ამბობენ, რომ იქ არავითარი დარღვევები არ ყოფილა. ზოგი პრობლემა გაზიარებულ იქნა, ზოგი – არა. თუმცა, თავად ის ჟესტი, რომ ილჰამ ალიევმა დაავალა თავის სახელმწიფო უწყებას, აღნიშნულ პრობლემებზე ემუშავათ და ჩვენთვის ეპასუხათ, დადებითი ფაქტორია. ასევე მათ გამოთქვეს სურვილი, რომ ქართველმა ჟურნალისტებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოინახულონ კახის რაიონი და საკუთარი თვალით ნახონ, რა ხდება კახში, ზაქათალასა და ბელექანში“.

**ჩემი, როგორც ჟურნალისტის დიდი ხნის ოცნებაა, ჰერეთი მოვინახულო. სასურველია, ვიდეოკამერით და ჟურნალისტის სტატუსით, თუმცა, თუ ასე შემაფერხებს მოძმე სახელმწიფო, მზად ვარ მოქალაქის სტატუსით გადავიდე. მიუხედავად ელჩის თანაშემწის პასუხისა, რომ სურვილი აქვთ ქართველმა ჟურნალისტებმა ჰერეთი და იქ არსებული პრობლემები საკუთარი თვალით მოინახულონ, ვერ ვირწმუნებ, რადგან ჩემს კოლეგებს ბევრი მცდელობა ჰქონდათ, მაგრამ ვიდეოკამერით იქ გადასვლაზე შეფერხებები ნამდვილად იყო. ამიტომ ხელისუფლების მზაობა რომ იყოს, ცხადია, ასე არ მოხდებოდა.**

ჰერეთის მაცხოვრებლები აზერბაიჯანში საქართველოს ელჩსაც ემდუროდნენ და ამბობდნენ, რომ ის სათანადოდ არ აქტიურობდა და ჰერებს ხშირად უყურადღებოდ ტოვებდა. სულ რამდენიმე დღის წინ პრეზიდენტმა მარგველაშვილმა აზერბაიჯანის ელჩი შეცვალა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი თავმჯდომარე ზურაბ პატარიძე ბაქოში გაამწესეს. აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობას ის 29 აგვისტოდან იკავებს. იმედია, ჰერებს მეტ ყურადღებას დაუთმობს, ვიდრე მისი წინამორბედი.

***ბოლოს, ისტორიულ მხარეში ქართული წიგნების გაგზავნის საკითხს მინდა დავუბრუნდე. იმის მიუხედავად, რომ მეორე გიორგობა მოდის, იმის მიუხედავად, რომ საქართველოს პარლამენტში ოფიციალური პირების მიერ ითქვა, წიგნების პრობლემაზე, ჰერეთში ქართული წიგნები არ შეუტანიათ. ოფიციალურად არავინ საუბრობს, თუმცა, პირად საუბრებში ბევრი ასეთ ამბავს ჰყვება: მას შემდეგ, რაც თბილისში, აზერბაიჯანის საელჩოსთან ჰერების და ქართველების მონაწილეობით საპროტესტო აქცია გაიმართა, აზერბაიჯანის საელჩომ საქართველოს საელჩოს შენიშვნა მისცა, ამიტომ ქართულმა მხარემ ამ ფონზე ვითარების დაძაბვა აღარ ისურვა და წიგნების შეტანის საკითხი გადადო (!)...***

ილია მარტყოფლიშვილი

**მონატრება**

**ზოია გონაშვილი**

9 სექტემბერს 72 წელი შეგისრულდებოდა. 40 დღეზე მეტი გავიდა შენი გარდაცვალებიდან, მაგრამ ასე გვგონია ჩვენს გვერდით ხარ, შემოგვეხმიანები, შენებურად ჭკვაზე დაგვარიგებ და ცხოვრების სტიმულს მოგვცემ. გვიყვარხარ, გვენატრები. მუდამ ჩვენს გულებში იქნები.

**შენი და** იზო გონაშვილი;
**დისშვილები** ლელა და გელა ოჯახებით.

ნაირა გორაშვილი, გულნარა და ანგელინა ღორაშვილები ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ თამრიკო ალულიშვილს მეუღლის თემურ ალულიშვილის და მაია ალადაშვილის, ნუციკო ალულიშვილის და დავით ფხოველიშვილის ოჯახებს მამის

ელიზბარ ალულიშვილის

გარდაცვალების გამო.

# ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა !

## დედოფლისწყაროს სამედიცინო და ჰუმანიტარული სასწავლებელი

# ა ც ხ ა დ ე ბ ს



მიღებას 2018–19 სასწავლო წლისთვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. მედდის საქმე
2. სამეანო საქმე
3. ფარმაცია
4. სამართალმცოდნეობა
5. ფინანსები და ეკონომიკა
6. ორთოპედიული სტომატოლოგია
7. საბავშვო ბაღის აღმზრდელი მასწავლებელი (ძიძა)
8. ლაბორატორიული დიაგნოსტიკა
9. ვეტერინარია

სასწავლებლად მიიღებიან 9, 10, 11 და 12 კლასდამთავრებულები.

**სწავლების ვადა 2 წელი.**

**საბუთების მიღება დაიწყო!**

საჭიროა წარმოადგინოთ: განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, 4 ფერადი ფოტოსურათი (ზომით ¾) და პირადობის მოწმობის ასლი, განცხადება (ადგილზე).

გაიცემა არასახელმწიფო ორენოვანი დიპლომი დამოუკიდებლად მუშაობის უფლებით.

ასევე ვაცხადებთ დამატებით მიღებას შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

1. ექთნის თანაშემწე
2. მოლარე-ოპერატორი
3. ბუღალტერია
4. სამკურნალო მცენარეების სპეციალისტი



**სწავლების ვადა 3–9 თვე**

გაიცემა ორენოვანი სერტიფიკატი

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ, მობრძანდეთ კოლეჯში შემდეგ მისამართზე:

ქ. დედოფლისწყარო, კოსტავას ქ. № 32 (დ. წყაროს არქივის შენობა II სართული)

**საკონტაქტო ტელეფონები:**

599 74 73 98,
0 356 22 52 73,
555 20 04 35.

## ულოცავენ!

**მადლენა ყოჩიაშვილს!**

საყვარელო დედა, გილოცავთ საიუბილეო 70 წლისთავს. გისურვებთ მხნეობას, დღეგრძელობას და ჯანმრთელობას. დიდხანს იცოცხლე ჩვენს საიმედოდ. შენ ხომ ჩვენი ოჯახის ბურჯი და დედაბოძი ხარ. გვიყვარხარ ძალიან.

ეკა აფციაური-**დედოფლისწყაროდან**,
მაკა აფციაური -**ამერიკიდან**,
არჩილ აფციაური- **მოსკოვიდან.**

## ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა !

შპს „კონსალტინგი 2018“ დაგეხმარებათ სწორად მართოთ თქვენი კომპანიის ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვა, რაც საშუალებას მოგცემთ, ეფექტურად მართოთ საკუთარი ბიზნესი და შეამციროთ საგადასახადო რისკები.

შპს „კონსალტინგი 2018“-ის მომსახურების პაკეტი მოიცავს:

1. პირველადი დოკუმენტების აღრიცხვა კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში „ორისი“;
2. საგადასახადო დეკლარაციების მომზადება და წარდგენა შემოსავლების სამსახურში;
3. ფინანსური ანგარიშგების მომზადება - „მოგება-ზარალი“,“ბალანსი“ და „cash flow“ (ქეშ-ფლოუ);
4. კონსულტაცია, საჭიროების შემთხვევაში, პირველადი დოკუმენტის მომზადებასთან, ხელშეკრულების გაფორმებასთან და დაბეგვრასთან დაკავშირებით.

თქვენ მოგემსახურებიან მრავალწლიანი გამოცდილების მქონე სპეციალისტები:

1. ციცო ნატროშვილი- 595 300 771;
2. ნინო ჩოხელი- 599 988 017;

და ლიცენზირებული აუდიტორი გოგი ჯიბლაძე.

## მადლიერება

ბოლო 20-25 წლის მანძილზე საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა და ქვეყნის ეკონომიკურმა მდგომარეობამ იძულებული გამხადა ჩემი მშობლიური კერა მიმეტოვებინა და ამერიკის შეერთებულ შტატებში წავსულიყავი სამუშაოდ ოჯახთან ერთად. მას მერე 20 წელი გავიდა და ეს 20 წელი ნოსტალგიასა და ჩემი სანათესაოს, სამეგობროს და სამეზობლოს მონატრებაში გაილია. წელს მოვახერხე და ჩამოვედი. რა თქმა უნდა, ჩემს ყოფილ სამსახურს – სამუსიკო სკოლასაც ვეწვიე, მოვინახულე თანამშრომლები. სამუსიკო სკოლას, რომელსაც ახლა ხელოვნების სკოლა ეწოდება, 60 წლის ისტორია აქვს. სწორედ ამ თარიღს მიუძღვნეს 26 აგვისტოს შეხვედრა სკოლის პედაგოგებმა და მე მადლიერი ვარ, რომ ეს ღონისძიება სწორედ ჩემს საქართველოში ყოფნას დაამთხვიეს, რომელმაც დამაბრუნა ბედნიერ წარსულში, ჩემს ახალგაზრდობაში. მადლობა ყველა პედაგოგს, რომელიც მოვიდა ამ საღამოზე, განსაკუთრებული მადლობა ორგანიზატორებს თამარ თამაზაშვილს, ნანა ვარდიაშვილს და მადლენა ყოჩიაშვილს, რომლებმაც ოცდაათამდე თანამშრომელს შემახვედრეს და ამით დიდი სიამოვნება მომანიჭეს. მიყვარხართ ყველა, გკოცნით და გეფერებით.

ციცინო ონანაშვილი.

**ქ. დედოფლისწყარო, 2018 წლის 30 აგვისტო.**

## ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა !

თუ გსურთ შეიცვალოთ იმიჯი, გქონდეთ ლამაზად და მოდურად შეჭრილი თმა, იყოთ ლამაზი და მომხიბვლელი, კაცებმაც და ქალებმაც მიაკითხეთ სილამაზის სალონს ჰერეთის (ყოფილი სტალინის) ქუჩის N67-ში (საჯარო რეესტრის წინ). თქვენ აქ მოგემსახურებიან გამოცდილი სპეციალისტები ირინა ბაღდასაროვი და ანა გონაშვილი. სალონში შეგიძლიათ ისარგებლოთ შემდეგი სერვისებით: თმის შეჭრა და შეღებვა, დავარცხნა, წარბის კორექცია. ფასები ხელმისაწვდომია.

## ულოცავენ!

**ნათია ყამარაულს!**

**გელა რობიტაშვილს!**

ჩვენს საყვარელ შვილებს ნათია ყამარაულს და გელა რობიტაშვილს ვულოცავთ პატარა გეგას დაბადებას. ვუსურვებთ ყველაფერს საუკეთესოს ცხოვრებაში.

**დიდი სიყვარულით და პატივისცემით,**
**დეიდა** მაკა ყამარაული; **ბებიები**: ნანო, თამილა, დოდო; **პაპა**-უშანგი.

## ი ყ ი დ ე ბ ა !

ქ. დედოფლისწყაროში, ხუთსართულიან კორპუსში, ჰერეთის ქუჩაზე (საჯარო რეესტრის მაღლა), მეორე სართულზე იყიდება სამოთახიანი, ოთხ ოთახიანად გადაკეთებული, თბილი, ნათელი, კუთხის ბინა გადიდებული ლოჯიით, ორი აივნით, რამდენიმე წლის წინ ჩატარებული რემონტით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ბუხრით, გამოცვლილი კარ-ფანჯრით, ფანჯრებზე ჟალუზებით, აივნებზე გისოსებით და სამეურნეო სათავსოებით, აბაზანა და ტუალეტი ცალ-ცალკე აღჭურვილი კაფელ-მეტლახით, შესასვლელში დამონტაჟებული კარადებით, კიბის ქვეშ სამეურნეო სათავსოთი, გაზით, ცხელი წყლით და ელექტროენერგიით უზრუნველყოფილი. ფასი შეთანხმებით

☎ 591-09-24-78.

## იყიდება ან იცვლება!

იყიდება კორპუსის სამოთახიანი ბინა ან იცვლება კერძო სახლზე.
მისამართი: რუსთაველის ქ №4, კორპუსი 31, მე-2 სართული, ბინა 9, სოკარის მოპირდაპირე მხარეს, ავტომაღაზიის მაღლა.
☎ 555 23 26 80
ეკატერინე. ფასი შეთანხმებით.

## ვ ა კ ა ნ ს ი ა

**გაზეთი „შირაქი“** *იწყებს სტაჟირების პროგრამას კორესპონდენტებისთვის და ეძებს ახალგაზრდა, კომუნიკაბელურ, ენერგიულ, შედეგებზე ორიენტირებულ კანდიდატებს, დასაქმების პერსპექტივით.*

აუცილებელი მოთხოვნები:

- *უმაღლესი განათლება (სასურველია ჟურნალისტიკის განხრით);*
- *ქართული ენის სამეტყველო და ლიტერატურული ნორმების სრულყოფილად ცოდნა;*
- *სოციალური ქსელების აქტიური მომხმარებელი.*

*გთხოვთ, გამოაგზავნოთ თქვენი CV თანდართული ფოტოსურათით მისამართზე:* gazetishiraki@gmail.com *, ან მობრძანდეთ გაზეთ „შირაქის“ რედაქციაში.*

***მისამართი:** ქ. დედოფლისწყარო, ფიროსმანის ქ. №18*

## ა მ ი ნ დ ი — დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

| ორშაბათი 10.09 | | სამშაბათი 11.09 | | ოთხშაბათი 12.09 | | ხუთშაბათი 13.09 | | პარასკევი 14.09 | | შაბათი 15.09 | | კვირა 16.09 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 21 ° | 19 ° | 24 ° | 18 ° | 22 ° | 21 ° | 24 ° | 20 ° | 24 ° | 21 ° | 24 ° | 19 ° | 24 ° | 21 ° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

REDAQCIIS MISAMARTIA:
ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.